საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა უკარტისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი-სამშაბათი, 11-12 იანვარი. 2021 წ. №5-6 (9124-9125) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

⑥ იმედი სიკვდილს ამარცხებს!

RNA ვაქცინებმა არამარტო კოვიდ-19, არამედ, შესაძლოა, სხვა დაავადებებიც, მათ შორის სიმსივნე დაამარცხონ!



⑤ ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისთვის თავდადების, ერთგულების ნათელი მაგალითი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აკადემიკოს გოჩა ჩოგოვაძეს 80 წლის იუბილეს ულოცავს

⑦ ეტყობა, რაღაც იმ სამეფოშიც დალპა!

დღეს ალიევი და ფაშინიანი პუტინს ეახლებიან!

11 იანვარს კრემლში რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის, აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ილჰამ ალიევისა და სომხეთის პრემიერის, ნიკოლ ფაშინიანის შეხვედრა გაიმართება.

შეხვედრა პუტინის ინიციატივით იმართება. — **დაგეგმილია აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის ლიდერების მიერ მთიანი ყარაბაღის შესახებ 2020 წლის 9 ნოემბერს გაფორმებული შეთანხმების შესრულებისა და რეგიონში არსებული პრობლემების გადაჭრის შემდგომი ნაბიჯების განხილვა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარების, აგრეთვე სავაჭრო, ეკონომიკური და სატრანსპორტო კავშირების განვითარების საკითხებს.**

სნეულებაზე თვალს ნუ დავხუჭავთ, განვიწმინდოთ ყოველგვარი ცოდვისგან, შევევედროთ უფალს და უფალი განგვკურნავს!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე

„ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველნო წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამამულენო:

ღმერთნი სამე ხართ და შვილნი მაღლისანი“ (ფს. 81.6).

უფალმა ადამიანი შექმნა განღმრთობისთვის, ღვთაებრივ სიკეთეთა მიღებისა და ღვთის წინაშე მარადიული ნეტარი ცხოვრებისთვის. უფალი თავად არის სათავე, სისავსე და სისრულე სიმართლისა, სიწმინდისა, სიბრძნისა, ჭეშმარიტებისა, მოწყალებისა, სიხარულისა, თავმდაბლობისა, მშვიდობისა, წესრიგისა, კეთილდღეობისა, თავისუფლებისა. ამასთან, ეს თვისებები აუცილებლად სიყვარულთან და სიკეთესთან არის დაკავშირებული და ყოველივეს აღემატება.

ბუნებრივია, ადამიანიც ვერ მიემსგავსება უფალს, ღვთის რწმენის, მასთან ერთობის დიდი სურვილისა და ამ თვისებების გარეშე.

საზომისამებრ თვისისა საღვთო მადლთა მქონე იყვნენ ადამი და ევა დაცემამდე. ამიტომაც ჰქონდათ შემოქმედთან ერთობა და განღმრთობაში წარმატების დიდი შესაძლებლობა, თუმცა, ასევე ჰქონდათ სრული თავისუფლება პიროვნული არჩევანისა.

ადამმა და ევამ, გველის სახით ბოროტისაგან ცდუნებულებმა, უფლისგან მიცემული მცნება და მასთან ერთობა სწორედ თავისუფალი ნების არამართებული გამოყენებით დაარღვიეს და ბოროტი ძალისგან მოტყუებულნი, მისი გავლენის ქვეშ მოექცნენ. ამის გამო, ედემიდან განიდევნენ და სამოთხის გარეთ ცხოვრება დაიწყეს.

მიუხედავად ასეთი ურჩობისა და ღვთის ნებისგან განდგომისა, შემოქმედმა ისინი მაინც არ მიატოვა და დიდი სულგრძელობით იწყო ზრუნვა ცოდვით დაცემამდელ მდგომარეობაში კაცთა მოდგმის დამბრუნებისთვის. თაობიდან თაობამდე ღმერთი ისრაელიანებს ესაუბრებოდა მამათმთავრების, წინასწარმეტყველების და სხვა წმიდა ადამიანების მიერ, რომელთა პირითაც აუწყებდა და ახსენებდა აღთქმას მხსნელის მოვლინების შესახებ, რომელიც ძე ღმერთის განკაცებით, ჯვარცმითა და აღდგომით აღსრულდა.

დიდება და მადლობა შენდა, უფალო, შენდამი მოლტოლვილთა ყოველთა მფარველო და შემწეო!

იხ. 3 გვ.

სამოგზაურო პლატფორმა BIG 7 TRAVEL-ის რეიტინგში საქართველო მეორე ადგილზეა!

საერთაშორისო სამოგზაურო პლატფორმა Big 7 Travel 50 საუკეთესო ტურისტული მიმართულების შესახებ წერს, რომ სადაც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს დისტანციურად მუშაობა შეუძლიათ, საქართველო საერთაშორისო გამოცემის სიაში მეორე ადგილზეა.

რეიტინგის პირველი ხუთეული ასეთია: ესტონეთი, საქართველო, სერბეთი, ინდონეზია და ტაილანდი.

„ბოლო წლებში თბილისმა ციფრულ სამოგზაურო სამყაროში დიდი ნაბიჯი გადადგა. კავკასიის რეგიონის გამორჩეულ დედაქალაქს სტუმრებისთვის უამრავი კულტურული შეთავაზება აქვს: მრავალფეროვანი კერძებით დაწყებული, გრძელი ისტორიით გაგრძელებული. დანარჩენი საქართველოს შესასწავლად თბილისი შესანიშნავ ბაზას წარმოადგენს. გაყინული კავკასიონის მთებიდან ბათუმის კენჭებიან ზღვის სანაპირომდე საქართველო მიმზიდველი და საცხოვრებლად ხელმისაწვდომი ქვეყანაა. პანდემიის დაწყების შემდეგ საქართველომ დისტანციურად მომუშავეებისთვის სპეციალური პროგრამა მოამზადა“, — წერს სტატიის ავტორი მელანი ჰამილტონი.

„იმუშავე საქართველოდან“ პროექტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის დავალებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მოამზადა. პროექტის მიზანია საქართველოში მაღალმხარჯველუნარიან საერთაშორისო ვიზიტორთა მიღება, რომელთა საშუალო დაყოვნების პერიოდი გაუტოლდება 6 თვეს, ხოლო საშუალო ყოველთვიური შემოსავალი იქნება 2.000 აშშ დოლარზე მეტი.

სალომე ზურაბიშვილი აფხაზეთის მოსახლეობას სოლიდარობას უცხადებს

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი რეგიონებში გაჩენილ ხანძრებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„ძალიან მძიმეა, რომ პანდემიისგან დაზარალებულ მოსახლეობას ახლა ხანძართან გამკლავება უწევს. თანავუგრძნობ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ყველა ჩვენს მოქალაქეს. მათგან განუყოფლად მსურს, სოლიდარობა გამოვუცხადო ჩვენს მოსახლეობას ოკუპირებულ აფხაზეთში, რომელსაც ასევე ზიანი მიადგა პანდემიისა და ხანძრისგან.

მინდა იცოდეთ, მე თქვენ გვერდით ვარ და ვაფასებ იმ შემართებასა და გამძლეობას, რითაც დღეს ამ ურთულეს ვითარებას უმკლავდებით“, — ნათქვამია პრეზიდენტის განცხადებაში. ოკუპირებულ აფხაზეთში უკვე რამდენიმე დღეა, ხანძარს ებრძვიან. ბოლო ინფორმაციით, ცეცხლმა უკვე დასახლებულ პუნქტებამდე მიაღწია. მიუხედავად არაერთი შეთავაზებისა, ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება საქართველოს მთავრობის მიერ შეთავაზებულ დახმარებაზე უარს აცხადებს!

<u>მეუფე შიო:</u> ეკლესიას სულ უპირისპირდებოდნენ, რის უკანაც იდგნენ დემონური ძალები!

სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო წირვა პატრიარქის მოსაყდრემ, მეუფე შიომ აღავლინა. წირვის დასრულების შემდეგ მეუფემ ტაძარში შეკრებილ მრევლს ქადაგებით მიმართა.

„გილოცავთ დღევანდელ დღეს. დღეს გრძელდება შობის წმინდა დღესასწაულის აღნიშვნა. წმინდა ეკლესია ერთი კვირის განმავლობაში აღნიშნავს შობის ბრწყინვალე დღესასწაულს. კიდევ ერთხელ ვფიქრობთ ამ უდიდეს მოვლენაზე, რომელსაც წმინდა მამები სამყაროს და ადამიანის მეორედ შექმნას ადარებენ. გილოცავთ ყველას ამ დღეს. ამ დიდი მოვლენის შემდეგ შეიცვალა სამყარო იმიტომ, რომ ადამიანი გახდა სათნო ღვთისა და ის დიდი უფსკრული, რომელიც იყო ღმერთსა და ადამიანს შორის, არის გადალახული. ადამიანს ეძლევა საშუალება, როგორც პეტრე მოციქული წერს, გახდეს თანაზიარი ღვთაებრივი ბუნებისა. გახსოვთ იგავი უძღებ შვილზე. როდესაც ბრუნდება უძღები შვილი, რაც არ უნდა ცოდვილი იყოს ადამიანი, ამიერითგან ღმერთისთვის ის არის, როგორც შვილი და მზად არის, მიიღოს და ჩაიხუტოს, მიუხედავად დიდი დაცემულობისა, თუ ადამიანი მოინანიებს და დაბრუნდება უფალთან. ძალიან ბევრ რამეზე გვაფიქრებს ეს დღე, თუ რაოდენ საყვარელი და მნიშვნელოვანია ადამიანი ღმერთისთვის და დღეს ვფიქრობთ იმაზე ასევე, რაც იყო წაკითხული წმინდა სახარებაში, რომ ამ დიდებულ მოვლენას, იმის მაგივრად, რომ მოჰყოლოდა მობრუნება ერისა და იმჟამინდელი საზოგადოებისა, მოჰყვა დევნა, ტანჯვა და განსაცდელები იესო ქრისტეს დაბადების დღიდანვე.

ეკლესიას სულ უპირისპირდებოდა ადამიანური ძალები, რომლის უკანაც იდგნენ დემონური ძალები. მიუხედავად ამისა, ვერცერთმა იმპერიამ და იდეოლოგიამ ამას ვერ მიაღწია. ის ყველაფერი დავიწყებას არის მიცემული დღეს, მათი სწავლებაც და მათი იდეოლოგებიც, მაგრამ ქრისტეს სიტყვა დღეს ჟღერს მსოფლიოში და ეხება ადამიანების გულებს და რაც მთავარია, ის ცვლის ადამიანს, ეს არის მთავარი. თუ ჩვენ ასე მივიღებთ ქრისტეს სიტყვებს, დავიმარხავთ გულში, მივიღებთ, როგორც ღმერთის სიტყვებს და ამასთანავე, რა თქმა უნდა, ის, რომ ჩვენ ეს შევიგრძნოთ, რომ ეს ღვთაებრივი სწავლებაა, რა თქმა უნდა. აუცილებელია, რომ ვიცხოვროთ ამ ცნებებით. მარტო თეორიულად ადამიანს ვერ დაარწმუნებ და შენ თავსაც ვერ დაარწმუნებ, რომ ეს ღმერთისგან არის, თუ არ იცხოვრე ამით. მაშინ მოდის ეს ღვთაებრივი სულიერი გამოცდილება, რომელსაც შეუძლია გადალახოს ყოველგვარი ადამიანური წინააღმდეგობა, ყოველგვარი ადამიანური განსაცდელი. მაშინ შემოდის საოცარი დასტური და სიხარული ღვთაებრივი, რომელიც გვაძლევს საშუალებას დავძლიოთ განსაცდელიც, მწუხარებაც და შევიგრძნოთ ღვთის სიყვარული.

მარტო თეორიულად ადამიანს ვერ დაარწმუნებ და შენ თავსაც ვერ დაარწმუნებ, რომ ეს ღმერთისგან არის, თუ არ იცხოვრე ამით. მაშინ მოდის ეს ღვთაებრივი სულიერი გამოცდილება, რომელსაც შეუძლია გადალახოს ყოველგვარი ადამიანური წინააღმდეგობა, ყოველგვარი ადამიანური განსაცდელი. მაშინ შემოდის საოცარი დასტური და სიხარული ღვთაებრივი, რომელიც გვაძლევს საშუალებას დავძლიოთ განსაცდელიც, მწუხარებაც და შევიგრძნოთ ღვთის სიყვარული.

ვის დაეხმარება მთავრობა ფინანსურად? იანვრის ბოლოდან კომპენსაციების გაცემა დაიწყება!

ახალი წლიდან იწყება ახალი ტალღა მიზნობრივი სოციალური დახმარებისა, რომელიც მოიცავს სისტემურ ნაბიჯებს, სისტემურ სოციალურ მხარდაჭერას ჩვენი მოქალაქეებისა, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამუშაო შეხვედრაზე 8 იანვარს განაცხადა.

„პირველი, ეს გახლავთ 1 200-ლარიანი მხარდაჭერა 6 თვის განმავლობაში ჩვენი მოქალაქეებისათვის, რომელმაც ძალიან კარგად იმუშავა პირველ ეტაპზე. ეს დახმარება გაიცემა და დაიწყო აღრიცხვა, იმ მოქალაქეებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური და არ იღებენ ხელფასს 2020 წლის დეკემბრიდან. ეს არის პირველი ნაწილი. მეორე ნაწილი — ჩვენი ყველა მოქალაქე, რომელიც არის 65 000-დან 100 000 ქულამდე, სოციალურად დაუცველის რანგში, მათ ყოველთვიურად, 6 თვის განმავლობაში ექნებათ 100-ლარიანი მხარდაჭერა. ასევე ჩვენი ყველა მოქალაქე, 0-დან 100 ათას ქულამდე მყოფი, რომელსაც ოჯახში ჰყავს სამი ან მეტი შვილი 16 წლამდე, მათაც 6 თვის განმავლობაში ყოველთვიურად ექნებათ 100-ლარიანი მხარდაჭერა. 18 წლამდე შშმ და მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისთვის, ასევე ყოველთვიურად, 6 თვის განმავლობაში, იქნება 100-ლარიანი მხარდაჭერა. ამ სოციალური მხარდაჭერის პორტფელის ბიუჯეტი არის დაახლოებით 610 მილიონი ლარი. გარდა ამისა, იქნება კონკრეტული მიზნობრივი მხარდაჭერა კომპანიებისთვის, იმისთვის, რომ მათ შეინარჩუნონ სამუშაო ადგილები.

მთავარია, რომ დღეიდან იწყება განაცხადების მიღება ჩვენი მოქალაქეებისთვის, მიზნობრივი სოციალური მხარდაჭერის მისაღებად ყველა იმ პუნქტებით, რომელიც ახლა მე ჩამოვთვალე. ფინანსთა სამინისტრო და ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები ამისთვის მზად არიან. არანაირი შეფერხება აქ არ უნდა იყოს. მთავარია, რომ ჩვენმა მოქალაქეებმა, მათ, რომლებმაც სამსახურები დაკარგეს და მათ, ვისაც ეკუთვნით ეს მიზნობრივი სოციალური დახმარება, რაც შეიძლება სწრაფად და დროულად მიიღონ სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ნაბიჯის შედეგად სოციალური მხარდაჭერა“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

200-ლარიანი კომპენსაციების მისაღებად შემოსავლების სამსახურში განცხადებების მიღება დაიწყო...

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ექვსთვიანი 200-ლარიანი კომპენსაციის მიღების უფლება აქვთ კორონავირუსის გავრცელების პერიოდში დაზარალებულებს, მათ შორის იმ პირებს, რომლებიც ორსულობის, მშობიარობის, ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებაში იმყოფებიან.

ფინანსთა სამინისტროს ცნობით, კომპენსაციას მიიღებს ის პირი, რომელიც დაქირავებით საქმიანობას ეწეოდა 2020 წლის იანვარ-ნოემბრის პერიოდში, ორ ან მეტ თვეს იღებდა ხელფასს; ან სამსახური დაკარგა დეკემბერში, 2021 წლის იანვარსა და თებერვალში. ფინანსთა მინისტრის, ივანე მაჭავარიანის ინფორმაციით, კომპენსაციას მიიღებენ ის პირებიც, რომლებმაც დაკარგეს სამსახური 2020 წლის დეკემბერში, 2021 წლის იანვარსა და თებერვალში.

დაქირავებულად არ მიიჩნევა და შესაბამისად, დაქირავებით დასაქმებულის კომპენსაციის მიღების უფლება არ აქვთ პირებს, რომლებსაც 2020 წლის იანვარ-თებერვლის თვეებში არ უფიქსირდებათ სახელფასო განაცემი — საბიუჯეტო ორგანიზაციიდან, საქართველოს ეროვნული ბანკიდან, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოდან, საწარმოდან, რომლის აქციების წილის 50 პროცენტზე მეტს ფლობს.

დაქირავებით დასაქმებულ ფიზიკურ პირებზე კომპენსაციის გასაცემად დამქირავებელმა, ყოველთვიურად, არაუგვიანეს შესაბამისი თვის 20 რიცხვისა, შემოსავლების სამსახურს უნდა წარუდგინოს განცხადება. განცხადება ივსება შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე დამქირავებლის გვერდიდან.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, კომპენსაცია გაიცემა პირველი იანვრიდან, თვეში 200 ლარი, ექვსი თვის განმავლობაში. კომპენსაციის მიღება შეუწყდება იმ პირს, რომელსაც 2021 წლის მარტის ან შემდეგ თვეებში დაუფიქსირდება 10 ლარზე მეტი ხელფასის გაცემა. კომპენსაციის მიმღებ პირებს კუთვნილი 200 ლარი განცხადებაში მითითებული ფიზიკური პირის საბანკო ანგარიშზე დაერიცხებათ.

განცხადებაში წარდგენილი ინფორმაციის სისწორეზე და არასწორი ინფორმაციის წარდგენით სახელმწიფოსთვის მიყენებულ ზარალზე პასუხისმგებლობა ეკისრება ინფორმაციის წარმდგენ დამქირავებელს.

ამასთანავე, ფიზიკურ პირებს შეუძლიათ, შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე კომპენსაციის მიმღებთა რეესტრის გამოყენებით თავად გადააამოწმონ წარდგენილია თუ არა დამსაქმებლის მიერ დაქირავებით დასაქმებულთა მონაცემები კომპენსაციის გაცემის მიზნით.

დამქირავებლებმა განაცხადები შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე 20 იანვრამდე უნდა ატვირთონ, თვის ბოლოს კი, კომპენსაციების გაცემა დაიწყება.

<u>აკა სინჯიკაშვილი:</u> 675 ბავშვმა მიიღო საახალწლო და საშობაო საჩუქარი

სცენარისტი აკა სინჯიკაშვილი სოციალურ ქსელში ასეთი შინაარსის პოსტს აქვეყნებს:

„ბედნიერება რაც არის, მე გეტყვით ახალი წლის ღამეს, მთიან სოფელში, დიდი თოვლი რომ დევს, ძველ ხის სახლს რომ მიადგები და დაიძახებ:

— მასპინძელო!

— რომელი ხარ? — ოდნავ შეშფოთებული ხმით გპასუხობს ქალი.

— ოოჰჰოჰჰოო, ამ სახლში ვიცი, რომ სამი კარგი ბავშვი ცხოვრობს და საახალწლო საჩუქრები მოვუტანე — უფრო ვიბოხეს ხმას.

ბავშვები დედას აღარ უჯერებენ, სამივე კართან მოცვივდებიან და გაფართოებული თვალებით გიყურებენ. ძველ და დახეულ სვიტერებში გახვეულები, მართლა ანგელოზებს ჰგვანან.

— იმისთვის, რომ დედას უჯერებთ, იმისთვის, რომ მარგალიტებივით ბავშვები ხართ, შორეული ქვეყნიდან ჩამოვედი და სათამაშოები ჩამოგიტანეთ.

ბიჭები მაშინვე დასტაცებენ ხელს ჭრელაჭრულა ქაღალდში შეხვეულ დიდ მანქანებს. გოგო მორიდებულად მართმევს, თვალს არ მაშორებს და ამბობს — გადახოტრილი თავი რომ გაქვს, არავის არ ვეტყვი და მე მაინც მიყვარხარ სანტაკლაუს. დედა მადლობას მიხდის გაბზარული ხმით.

— ვნახავ, როგორ ისწავლით და როგორ დაუჯერებთ დედას.

თუ ისევ გაახარებთ, შემდეგ ახალ წელს ისევ დავბრუნდები — ხმა მეჭინჭყლება, ვბრუნდები და დაღმართზე ჩავრბივარ მანქანისკენ, რომ ნახევრად წაქცეულ ჭიშკართან, ბავშვების დედასთან ერთად არ ავტირდე ამსისქე კაცი. აი, ეს არის ბედნიერება.

675 ბავშვმა მიიღო საახალწლო და საშობაო საჩუქრები და ყველა სახლში სითბო და სიყვარული დავუტოვეთ ბავშვებს.

დიდი მადლობა თქვენ, უკვე მრავალი წელია უფლებას რომ მაძლევთ ასეთი ბედნიერი ვიყო.

ვუყურებდე ბავშვების ბედნიერ თვალებს და მათი ნამდვილი სანტა-კლაუსი ვიყო.

ნამდვილი სანტა-კლაუსები კი, თქვენ, საჩუქრების გამგზავნები და ის ადამიანები არიან, რომლებმაც უზარმაზარი შრომა გასწიეთ, იმისთვის, რომ ყოველ ახალ წელს უფრო მეტი ბავშვი გავახაროთ“...

სნეულებაზე თვალს ნუ დავხუჭავთ, განვიწმინდოთ ყოველგვარი ცოდვისგან, შევევედროთ უფალს და უფალი განგვკურნავს!

(პირველი გვერდიდან) **როგორ შეხვდა მას ეს ქვეყანა?**

მართალი იოსები და მიდგომილი წმინდა მარიამი, რომლებიც წარმოშობით დავით მეფის შთამომავალნი იყვნენ, იუდეის კანონების მიხედვით, საყოველთაო აღწერისთვის ბეთლემში უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ისინი არავინ მიიღო თავის სახლში, ყველა კარი მათთვის დაკეტილი აღმოჩნდა და იძულებულნი გახდნენ, გარეუბანში მდებარე გამოქვაბულისთვის შეეფარებინათ თავი.

ამის შეტყობისას შეძრწუნდა მეფე ჰეროდე და მთელი იერუსალიმი მასთან ერთად (**მთ.2.3**). მან იმით შეშინებულმა, რომ იშვა მეუფე ჰურიათა, ანუ, მისი წარმოდგენით, ტახტის მოცილე, ბეთლემში და მის შემოგარენში თოთხმეტი ათასი ჩვილი მოაკვლევინა, რათა მათ შორის ისიც მოეკლათ, ვისი არსებობაც ასე აშფოთებდა.

განკაცებული ღვთისადმი მტრული განწყობა, როგორც ამას წმინდა სახარება გვაუწყებს, შემდგომში მკვეთრად გამოავლინეს ფარისევლებმა და სადუკეველებმა, ასევე სინედრიონის სხვა წევრებმა და მათგან გადაბირებულმა ხალხის ნაწილმა.

რა იყო ამის მიზეზი?

პირველ რიგში ის, რომ მაცხოვარი საერთოდ არ ჰგავდა ისეთ მეფეს, ისეთ მესიას, რომელსაც რჩეული ერი მოელოდა. ისინი რომის იმპერიის მონობისგან გათავისუფლებაზე ოცნებობდნენ, მოელოდნენ ისეთ პიროვნებას, რომელიც თავისი ძალითა და ძლიერებით მეფე დავით წინასწარმეტყველის და სოლომონ ბრძენის ხანაზე უკეთეს ყოფას მოუტანდა მათ, ყველას დასჯაბნიდა სასწაულებით და განადიდებდა ქვეყანას.

უფალი კი დაიბადა ბაგაში, ცხოველთა გვერდით, ცხოვრობდა ღარიბ ოჯახში, ნაზარეთში, რომელიც ქვეყნის ისეთ ნაწილს წარმოადგენდა, საიდანაც ერთი წინასწარმეტყველიც არ იყო გამოსული.

მისთვის მნიშვნელოვანი იყო არა მიწიერი ძალმოსილება, არამედ მოძიება ისეთი პიროვნებებისა, რომელთა სიწრფელეც და სიკეთეც დასძლევდა ამ სოფლის მბრძანებელთა სიბოროტესა და მზაკვრობას და მათდამი შიშს; რომელთა გონებაც აღივსებოდა ღვთის გასაოცარ ახალ საიდუმლოთა წვდომის უნარით, ხოლო სული კი უშურველად მიჰფენდა სიყვარულს მოყვარესაც და მტერსაც. ეძებდა ადამიანებს, რომლებიც იგრძნობდნენ მისი სწავლების სიდიადეს და ჭეშმარიტებას ჰპოვებდნენ მასში.

და რატომ დაიბადა იგი ამ დროს?

მრავალ მიზეზთაგან ერთ-ერთი ისიც არის, რომ რჩეულ ერში მაშინ ცხოვრობდა მარიამი, წმინდა ქალწული, უფლის დამტევნელი, გამართლება მამამთავართა, მსაჯულთა, წინასწარმეტყველთა და ყოველთა მართალთა ღვაწლისა, ძველი აღთქმისა დიდება და მშვენება ახალი აღთქმისა, ევას და ყოველთა ჭეშმარიტ მონანულთა ცრემლის აღმხოცი და განცხადება იაკობის სიზმარში დედამიწიდან ზეცამდე აღმყვანებელი კიბისა. უფალი იშვა მაშინ, როდესაც ებრაელთა შორის იყვნენ სულიერად გამორჩეული ადამიანები: იოანე ნათლისმცემელი, თორმეტი მოციქული, სამოცდაათი მოწაფე, ლაზარე, მართა და მარიამი, ნიკოდიმოსი, იოსებ არიმათიელი და სხვანი, სამი ათასი და შემდეგ ხუთი ათასი ებრაელი, ერთ დღეს რომ მოინათლნენ...

ღვთის შეწევნით, ამქვეყნად მათ სხვა სივრცე შექმნეს, სხვა წესით ცხოვრება შემოგვთავაზეს და სულ სხვა სამეფოს ჩაუყარეს საფუძველი, რომლისკენაც მთელ დედამიწას მოუხმეს.

დიდება და მადლობა შენდა უფალო ძალთაო, ყოვლისა მპყრობელო, დიდება და მადლობა თქვენდა, ყოველნო წმინდანო ღვთისანნო!

შობა უფლისა გასაოცარი სიხარულის მომტანია, რომელსაც სიყვარულით, მადლიერებით და პასუხისმგებლობით უნდა შევხვდეთ.

უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ მხოლოდ სიტყვით ღვთის სიყვარული არაფრის მომცემია, თუ იგი საქმით, მოყვასთან მიმართებაში, არ ჰპოვებს მუდმივად გამოვლენას. მოყვასის სიყვარულიც აზრს კარგავს და ამპარტავნების მიზეზად იქცევა მათთვის, ვისაც თავისი ქველმოქმედებით საკუთარი პიროვნების წარმოჩენა სურს და სიკეთეს ღვთისა და მოყვასის უანგარო სიყვარულით არ აღასრულებს.

შეიძლება კარგი ექიმი იყო, ან ინჟინერი, მიწის მუშაკი, მომსახურე პერსონალი, ან მეცნიერების ნებისმიერ დარგში გქონდეს დიდი წარმატება, იყო ხელოვნების ამა თუ იმ სფეროს ცნობილი წარმომადგენელი, სპორტსმენი, ექიმი, იურისტი, მასწავლებელი, სტუდენტი, თუნდაც სასულიერო პირი, მაგრამ თუ შენს საქმიანობასთან ერთად არ გაქვს თვალი უფლისკენ მხედველი და არ ზრუნავ შინაგანი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, იქნები ცარიელი ჭურჭელი, ღვთის სისავსის მიღმა მყოფი.

ეს პრობლემებიც, რაც პანდემიამ დღევანდელ მსოფლიოს მოუტანა, ღვთის დაშვებით მოხდა. ვირუსის უცნაურმა ბუნებამ აიძულა ადამიანები გარკვეულ რეგულაციებს დამორჩილებოდნენ. ეს აუცილებელია, მაგრამ აუცილებელია თითოეული ჩვენგანის ღმერთთან მეტი სიახლოვეც, რადგან არავინ იცის, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე. წმინდა წერილი შეგვაგონებს: „შვილო, შენს სნეულებაზე თვალს ნუ დახუჭავ, არამედ შეევედრე უფალს და განგკურნავს. განაგდე ცთუნება და გაისწორე ხელი და გული განიწმინდე ყოველგვარი ცოდვისგან“ (სიბრ. ზირ. 38,9-10). ასე რომ, ზომიერება გვმართებს, ექიმთა რჩევასაც უნდა დავუგდოთ ყური, მაგრამ უმთავრესი ღვთის მცნებების დაცვა და მის წინაშე სათნო ცხოვრებაა.

ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, უკრაინელნო, რუსნო, სომეხნო, ებრაელნო, აზერბაიჯანელნო, უდინნო, იეზიდნო, ქურთნო, ინგუშნო, ქისტნო, ჩერქეზნო, ჩეჩენნო, ლეკნო - ყოველნო მკვიდრნო საქართველოისა და ჩვენს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენნო, მიაპყარით თვალი ბეთლემის ვარსკვლავს, დაე, მისმა ბრწყინვალებამ ჩვენი სულიც აღავსოს საღვთო მადლით და ვიქცეთ ანკარა წყაროდ იმ სივრცეში, რომლის გავლაც გვიწევს მიწიერი ჩვენი ცხოვრების პერიოდში.

ყოველწმინდა ღვთისმშობელს, მოციქულებს, ყოველთა წმიდანთა ქრისტეს ეკლესიისა ვავედრებ ჩვენს ქვეყანას, ვავედრებ მსოფლიოს, რომ შევძლოთ დღევანდელ გამოწვევათა დაძლევა და, რაც მთავარია, საუფლო გზის ერთგულება.

„ხმითა სიხარულისაითა დავით წინასწარმეტყველი ღაღადებს დღეს... ბეთლემი დღესასწაულობს, სიონი განსცხრებების და ქვეყანაი იშვების შობასა შენსა ქრისტე“.

განვიხაროთ ჩვენც და შევძლოთ, ჩვენი ცხოვრებით ვადიდებდეთ მამასა და ძესა და წმინდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი,

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
7 იანვარი, 2021 წელი

პატრიარქს კორონავირუსი არ დაუდგინდა

სრულიად **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს კორონავირუსზე ტესტირება ჩაუტარდა და მისი პასუხი უარყოფითია,** — ინფორმაციას საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე ადასტურებს. მისივე განცხადებით, პატრიარქს რაიმე სიმპტომი არ ჰქონია და ტესტირება პრევენციისთვის ჩატარდა.

საპატრიარქოში ჩატარებული ტესტების პასუხი კორონავირუსზე უარყოფითია

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელის ვეფხია ოდიშარიას განცხადებით, საპატრიარქოში ამ დრომდე ჩატარებული ყველა ტესტის პასუხი კორონავირუსზე უარყოფითია.

„როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, საქართველოს საპატრიარქოში, ასევე სამების საკათედრო ტაძარში უკვე დიდი ხანია, მიმდინარეობს ტესტირებები, გაგრძელდება ტესტირებები. გუშინაც ჩატარდა ტესტირება, დღესაც ჩატარდა და მიღებული პასუხები ყველა არის კოვიდ უარყოფითი“, — განაცხადა ვეფხია ოდიშარიამ.

ისევ ბუკიკიო და ვენეციის კომისია თუ გვიხსნის, თორემ...

ვფიქრობ, მკითხველი ამ წერილის სათაურს რომ დახედავს, გაკვირვებული არ იკითხავს — ნეტავ ვინ არის ეს ბუკიკიო, გასაჭირში ჩავარდნილ ქართველებს ყოველთვის მხსნელად რომ გვევლინებაო? მან (ბუკიკიომ) ხომ თავი ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან დაგვამახსოვრა, როცა საქართველოში ლგბტ-ს მიმდევართა აკვიატებული მოთხოვნით, ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონების საკითხი მთელი სიმწვავით დაისვა. მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში, სადაც კი დემოკრატია დულს და გადმოდულს, გეები და ლესბოსელები სულ ღიღინ-ღიღინით წყვილდებიან და ჩვენ ქართველები რატომ ჩავრჩით შუასაუკუნოებრივ ბნელეთშიო — გვამუნათებდნენ ჩვენებური მამათმავლები, რომელთაც მალე რესპუბლიკელებმაც აუბეს მხარი.

დიახ, ჩვენმა ინტელექტუალურმა რესპუბლიკელებმა ქართველ გეებსა და ლესბოსელებს არა მარტო მოუწონეს ერთმანეთზე ქორწინების იდეა, სასწრაფოდ დაბზრიალდნენ და პარლამენტში წარსადგენად კანონპროექტიც შეიმუშავეს, რომელიც ლგბტ პირებისთვის სამოქალაქო პარტნიორობის დაკანონებას ითვალისწინებდა. კი მაგრამ, საიდან გაუჩნდათ ამ ჩვენს „კეთილმოსურნე“ რესპუბლიკელებს ასეთი კანონის შეთხზვის იდეა, არ იკითხავთ? საიდან და თურმე საქართველოს ახალი კონსტიტუციის მოსამზადებელ სამუშაოებში ვენეციის კომისიიდან მოწვეული ჯანი ბუკიკიოს მითითებიდან, რომელმაც ვიზიტის დასრულებისას რეკომენდაციაც დაგვიტოვა: საქართველოს შემთხვევაში რთული იქნება კონსტიტუციით ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება, თუმცა სამოქალაქო პარტნიორობა მაინც უნდა დააწესოთო.

ხედავთ, ბატონებო, ჯანი ბუკიკიომ, ჩვენი საზოგადოებისთვის სრულიად უცხო პიროვნებამ, ანგარიში გაუწია ქართველი ერის ცნობიერებას, მის ისტორიულ ტრადიციებს, მართლმადიდებლურ რწმენა-სულიერებას, მიხვდა, რომ კონსტიტუციით ერთნაირსქესიანთა ქორწინების შემოღება გაგვიჭირდებოდა და ნაცვლად ამისა, მექორწინეთა სამოქალაქო პარტნიორობა შემოგვთავაზა.

დიდი მადლობა, ბატონო ბუკიკიო, საქართველოსთვის ამ საჭირბოროტო საკითხის ასე „გონივრულად“ და ოპერატიულად გადაწყვეტისთვის. მადლობა რესპუბლიკელებსაც, რომლებმაც „იყოჩაღეს“ და ბუკიკიოს გასტუმრებისთანავე გააშვანშვალეს კანონპროექტი, რომელშიც სიტყვა „ქორწინება“ საერთოდ გააქრეს და ის „სამოქალაქო პარტნიორობით“ შეცვალეს. ეს სიტყვით, მაგრამ საქმით, ხსენებული კანონპროექტი უფლებას აძლევს, მიიღონ ერთმანეთის გვარი (როგორც ეს მეუღლეობის შემთხვევაში), აიყვანონ შვილი, პასუხი აგონ ოჯახური ძალადობის შემთხვევებზე. ყველაფერი ეს კი სხვა არაფერია, თუ არა უკანა კარით შემოპარული გეიქორწინება(!).

მაშინ, 2017 წელს, გეიწყვილების გამაბედნიერებელ ბუკიკიოს რეკომენდაციას როგორღაც ბედნიერად კი დავაღწიეთ თავი, მაგრამ ახლა რა ხდება, კიდევ ერთხელ რატომ დაგვჭირდა ვენეციის კომისიისგან რჩევა-დარიგების მოცემა? ამაზე პასუხს უკვე საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის ირაკლი კობახიძის მიერ წინასაახალწლო დღეებში გაკეთებული განცხადება იძლევა. ლაპარაკია ახლად არჩეული პარლამენტის პირველსავე სხდომაზე უმრავლესობის მიერ განსახილველად შეტანილ საკანონმდებლო ინიციატივათა პაკეტზე, რომელიც ბოიკოტგამოცხადებულ ოპოზიციურ პარტიებს დაფინანსების შეჩერებითა და საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმებით ემუქრებოდა. ამ პროექტის რეალიზაციით მმართველი პარტია ვარაუდობდა, რომ ოპოზიცია გონს მოეგებოდა, ქუჩის აქციებსა და რევოლუციაზე ფიქრს მოეშვებოდა და ნორმალურ საპარლამენტო ცხოვრებას დაუბრუნდებოდა. მაგრამ მოხდა პირიქით, უმრავლესობის მიერ ინიცირებულმა პროექტმა ოპოზიციური სპექტრი დამშვიდების მაგივრად კიდევ უფრო გააღიზიანა, საგაზაფხულო ქუჩის აქციებისკენ უბიძგა და კონსენსუსმაც, რაც ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის წარმოებულ მოლაპარაკებებს შედეგად უნდა მოჰყოლოდა, გაურკვეველი ვადით გადაიწია.

და აი, აგორებული „ჩორთის“ გასანეიტრალებლად ხელისუფლებამ საშველად და სარეკომენდაციოდ კვლავ მოუხმო ვენეციის კომისიის ფასდაუდებელ ავტორიტეტსა და რეპუტაციას, როგორც „ოცნების“ საპარლამენტო გუნდის ლიდერმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, სადავო და გაუგებარი რომ არაფერი იყოს, ჩვენ ბოიკოტისტი ოპოზიციური პარტიების დაფინანსების შეჩერებისა და ნაცბანდისთვის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების კანონპროექტებს სარეკომენდაციოდ ვენეციის კომისიას გადავუგზავნეთ, ვნახოთ, რას გვირჩევენ და იმის მიხედვით მოვიქცევითო(!).

აბა როგორ, „ოცნების“ ხელისუფლება იმის ჩიტია, რომ ნაცბანდას განაჩენი საკუთარი ხელით გამოუტანოს? აგერ არის ბატონო, ვენეციის კომისია, მისი თავკაცი ჯანი ბუკიკიო, კეთილი ინებონ და ძალლთაპირი ნაცების ნასრულ ძვლებს იმათ შეუშვირონ თავი! მით უფრო, რომ ამერიკის ელჩმა კელი დეგნანმა გასაგებად უთხრა ხელისუფლებას, რომ არ ეთანხმება „ნებისმიერ კანონს, რომელიც ოპოზიციის განვითარებას ზღუდავს“. ჰოდა, აძედან გამომდინარე, თქვენ როგორ ფიქრობთ, მკითხველო, ვითომ ბუკიკიოს კომისია ამერიკის პოზიციისგან განსხვავებულს რამეს წამოიწყებს?!

ასეა, როგორც ყოველთვის ჩვენმა ხელისუფლებამ ახლაც თავი აარიდა საკუთარი ჭკუით სიარულს და მოთმინებით დაელოდა ვენეციის კომისიის რჩევა-რეკომენდაციებს. ეს მაშინ, როცა ნორმალურ ცივილიზებულ ქვეყანაში ხელისუფლება საზოგადოების აზრზე დაყრდნობით უნდა წყვეტდეს ყველაფერს. ჩვენ არ უნდა გვქონდეს იმედი, რომ სადღაც უცხოეთში გადაწყდება ჩვენი ბედი და ერთბაშად გვეშველება. მათი „დახმარების“ ნაყოფი უკვე კარგა ხანია, ვიგემეთ: რუსეთმა თუ ომით დაგვიპყრო, ევროპა-ამერიკამ „დახმარებით“ მოგვინარეკლა. პირველმა ტერიტორიის 20 პროცენტი წაგვგლიჯა, მეორემ — ხელისუფლების დამოუკიდებლობა!

ამ გზით თუ ვიარეთ, ყოველთვის სხვათა კარნახის და დახმარების შემყურე თუ დავრჩით, ვერც პანდემიით წაქცეულ ეკონომიკას წამოვწევთ და ვერც ნაღდ დემოკრატიას ვეზიარებით.



ოთარ ხუციშვილი

მაიკ პომპეო ფატუ ბენსუდას ადანაშაულებს

აშშ-ის მოქმედი სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორს, ფატუ ბენსუდას კორუმპირებულ ქმედებებში ადანაშაულებს.

„სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო არის კორუმპირებული, პოლიტიზებული და არაკომპეტენტური. მთავარი პროკურორი ფატუ ბენსუდა ბოროტად იყენებს თავის უფლებამოსილებას, ჩართულია კორუმპირებულ ქმედებებში პირადი სარგებლისთვის და გაფლანგა მილიონები ამერიკელი სამხედროების სისხლის სამართლის მავნებლური დევნით“, — წერს მაიკ პომპეო სოციალურ ქსელ „ტვიტერში“.

შეგახსენებთ, სექტემბერში აშშ-მა სანქციები დაუწესა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორ ფატუ ბენსუდას. ამის მიზეზი პროკურორის მიერ ავღანეთში ამერიკელი სამხედროების მიერ ჩადენილ შესაძლო დანაშაულებზე გამოძიების დაწყება გახდა.

„ობამას ადმინისტრაციამ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობა ამერიკულ ინტერესებზე მაღლა დააყენა. ჩვენ დავასრულეთ ეს. ტრამპის ადმინისტრაცია რომ არ დამდგარიყო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინაშე აშშ-ის სუვერენიტეტის დასაცავად, ამას არავინ იზამდა“, — წერს აშშ-ის მოქმედი სახელმწიფო მდივანი.

32-ე ბატალიონის მეოთხე ეტაპი ავღანეთში გაემგზავრა

ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში საერთაშორისო სამშვიდობო მისიის შესრულების მიზნით, საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის 32-ე ქვეითი ბატალიონის პირადი შემადგენლობის გადასროლა გრძელდება. ამჯერად ავღანეთში ქვედანაყოფის სამხედრო მოსამსახურეების მეოთხე ნაკადი გაემგზავრა, — ამის შესახებ ინფორმაციას თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ქართველი მშვიდობისმყოფელები ნატოს ეგიდით მიმდინარე „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიას 6 თვის განმავლობაში ამერიკული სარდლობის დაქვემდებარებაში შეასრულებენ. ქვედანაყოფის მთავარი ამოცანა ბაგრამის საავიაციო ბაზის უსაფრთხოების დაცვა იქნება. უახლოეს დღეებში როტაცია დასრულდება და 32-ე ბატალიონი უფლებამოსილებას მე-13 ბატალიონისგან სრულად გადაიბარებს.

III ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონმა „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის გადასროლისწინა მომზადების დასკვნითი და ოთხთვიანი ინტენსიური მომზადების ყველა სხვა ეტაპი საქართველოში გაიარა. 32-ე ბატალიონი მეორე ქართული ქვედანაყოფია, რომელსაც მისიაში გამგზავრებამდე გადასროლისწინა მომზადების დასკვნითი ეტაპი გერმანიის ნაცვლად, საქართველოში ჩაუტარდა.



ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲘᲡ, ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ �გᲝᲩᲐ ᲩᲝ�გᲝᲕᲐᲫᲔᲡ 80 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ტექნიკური უნივერსიტეტი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს საიუბილეო თარიღს ულოცავს — **ᲗᲝᲩᲐ ᲩᲝᲗᲝᲕᲐᲫᲔ** 11 იანვარს 80 წლის გახდა.

გილოცავთ, ბატონო გოჩა, მრავალჟამიერ თქვენ და თქვენს ოჯახს!

უნივერსიტეტის სახელით, ბატონ გოჩას ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს, ხანგრძლივ და ნაყოფიერ საქმიანობას ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გოჩა ჩოგოვაძე დაიბადა 1941 წლის 11 იანვარს, ქუთაისში, ცნობილი ენერგეტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ გიორგი ჩოგოვაძის ოჯახში. 1958 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის 56-ე საშუალო სკოლა და ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლებშივე გამოავლინა მეცნიერული კვლევებისადმი მიდრეკილება. 1963 წელს წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა განაგრძო გამოთვლითი ტექნიკის კათედრაზე, სადაც 1964-67 წლებში ასპირანტურის კურსი გაიარა. 1968 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. შემდგომ წლებში მუშაობდა გამოთვლითი ტექნიკის კათედრაზე ასისტენტის, უფროსი მასწავლებლისა და დოცენტის თანამდებობებზე.

1971 წელს, გოჩა ჩოგოვაძის თაოსნობით, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაარსდა მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრა, რომლის პირველ გამგედ იქნა არჩეული. 1975 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ხოლო 1976 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. 1976 წლიდან ხელმძღვანელობდა კათედრასთან არსებულ დარგობრივ კვლევით ლაბორატორიას.

პროფესორმა გოჩა ჩოგოვაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყნის სამრეწველო ობიექტების მართვის ავტომატიზებული სისტემების შექმნის, მათი გაანგარიშების თეორიის შემუშავებასა და პრაქტიკაში დასანერგად. იგი მართვის ავტომატიზებული სისტემების ქართული სკოლის ფუძემდებელია. მისი სამეცნიერო კვლევები ისეთ ფუნდამენტურ მიმართულებას შეეხება, როგორიცაა კომპიუტერული მეცნიერება, სახელდობრ — ხელოვნური ინტელექტი. ამ სფეროში მოპოვებული კვლევითი შედეგებიდან აღსანიშნავია რელაციურ დამოკიდებულებათა თეორია, მონაცემთა ბაზის ლოგიკური სქემების ავტომატიზებული დაპროექტება, ინტელექტუალური კომპიუტერული სასწავლო სისტემების ანალოგიური მანქანების დისკრეტული იმიტატორი, გადაწყვეტილებათა მიღების სემიოტური სისტემები, შეტყობინებათა დანაკარგის ალბათობის გამოთვლის მეთოდი, ექსპერტული სისტემების ავტომატიზებული დაპროექტების კონცეპტუალური მეთოდები და სხვ.

პროფესორ გოჩა ჩოგოვაძის სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგები თავმოყრილია 20 მონოგრაფიაში, 6 გამოგონებასა და 100-ზე მეტ სამეცნიერო ნაშრომში, რომელთაგან ბევრი გამოქვეყნებულია აშშ-ში, რუსეთში, ინგლისში, ჩინეთში, ჰოლანდიაში, გერმანიაში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში. იგი მრავალი საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელი და სადოქტორო დისერტაციის კონსულტანტი იყო.

პროფესორ გოჩა ჩოგოვაძის სახელმძღვანელოებზე მრავალი თაობა აღიზარდა. მისი მონოგრაფიები მართვის ავტომატიზებული სისტემების დარგის მეცნიერთა და სპეციალისტთა სამაგიდო წიგნებია. პროფესორ გოჩა ჩოგოვაძის მოწაფეები დღეს აღიარებული მეცნიერები და სპეციალისტები არიან.

1981-1986 წლებში გოჩა ჩოგოვაძე მუშაობდა პარიზში, იუნესკოს განათლების სექტორის ინფორმატიკის განყოფილების უფროსად.

1986-1988 წლებში ის ხელმძღვანელობდა საქართველოს კპ ცკ-ის განათლებისა და მეცნიერების განყოფილებას, წლების მანძილზე იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

1988 წელს პროფესორი გოჩა ჩოგოვაძე არჩეულ იქნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორის თანამდებობაზე. ქვეყნის საინჟინრო განათლებისა და მეცნიერების ამ უმთავრეს კერას ის 1994 წლამდე უძღვებოდა. ეს პერიოდი დაემთხვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასა და ქვეყანაში ახალი სოციალურ-პოლიტიკური წყობის დამკვიდრებას. პროფესორ გოჩა ჩოგოვაძის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს საუნივერსიტეტო განათლების თანამედროვე პრინციპების დამკვიდრების დაწყება საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელმაც 1990 წლის 5 იანვარს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტატუსი მიიღო. 1990 წლის 14 სექტემბერს, სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე ერთხმად იქნა მიღებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტონომიის დეკლარაცია. სწორედ ამ პერიოდში, საინჟინრო განათლების პარალელურად, განხორციელდა ჰუმანიტარული სპეციალობების დაფუძნება. გაიხსნა ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი, სადაც მიიწვიეს თვალსაჩინო მეცნიერები და სპეციალისტები, გაიხსნა ახალი კათედრები, სწავლება თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე გადავიდა.

1992 წელს საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავიაციო ინსტიტუტს, რომელიც ამ დარგის მაღალკვალიფიციურ კადრებს უშვებს.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს პროფესორ გოჩა ჩოგოვაძის, როგორც რექტორის ღვაწლი მსოფლიოს წამყვან საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრებთან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაკავშირებასა და საქმიანი კონტაქტების გაღრმავებაში.

მეცნიერების განვითარების საქმეში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისთვის პროფესორი გოჩა ჩოგოვაძე 1988 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად და პრეზიდიუმის წევრად, ხოლო 1993 წელს — ნამდვილ წევრად.

აკადემიკოსი გოჩა ჩოგოვაძე საერთაშორისო ტექნიკური ასოციაციებისა და ორგანიზაციების კავშირის პირველი ვიცე-პრეზიდენტია. არჩეულია საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიის ვიცე-პრეზიდენტად, რუსეთისა და ჩეხეთის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორად და მრავალი საერთაშორისო აკადემიის წევრად.

1994 წელს აკადემიკოს გოჩა ჩოგოვაძეს განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პოლიტიკური მისია დაეკისრა. ის წარგზავნილ იქნა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად საფრანგეთსა და ესპანეთის სამეფოში.

ამ მაღალ დიპლომატიურ თანამდებობაზე აკადემიკოს გოჩა ჩოგოვაძის მიზანმიმართული მოღვაწეობის შედეგია საფრანგეთისა და ესპანეთის სამეფოს, აგრეთვე, მსოფლიოს სხვა სახელმწიფოების მთავრობათა თანადგომა საქართველოსადმი და საქმიანი წრეების დაინტერესება ჩვენი ქვეყნით.

აკადემიკოს გოჩა ჩოგოვაძის, როგორც მეცნიერისა და პოლიტიკური მოღვაწის, საერთაშორისო ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მისი რეკომენდაციით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი „ფრანკოფონიის“ წევრი გახდა, ხოლო 2002 წელს საფუძველი ჩაეყარა ფრანგულ-ქართულ ინსტიტუტს, სადაც მზადდება კადრები ინფორმატიკისა და ეკონომიკის სპეციალობებში.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და სახელმწიფო მოღვაწის — გოჩა ჩოგოვაძის თავდადებული სამსახური ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ, საპატიო ნიშნისა და ღირსების ორდენებითაა აღნიშნული. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის, დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით, 2001 წელს, ის უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდოთი — გიორგი ნიკოლაძის სახელობის მედლით დაჯილდოვდა.

აკადემიკოს გოჩა ჩოგოვაძის ღვაწლი მეცნიერებასა და დიპლომატიურ ასპარეზზე დღევანდელი და მომავალი თაობებისთვის იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორი თავდადებითა და ერთგულებით უნდა ემსახურებოდე ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისა და წინსვლის საქმეს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘ: 2022 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲑᲐ ᲐᲑᲐᲡᲗᲣᲛᲐᲜᲘ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა აბასთუმნის ურბანული განახლების მეორე ეტაპის სამუშაოებზე ტენდერი გამოაცხადა. ინფორმაციას ფონდი ავრცელებს.

„აბასთუმნის თანამედროვე კურორტად ფორმირებისთვის 2020 წელს დასრულდა აბასთუმნის ცენტრალურ ქუჩაზე არსებული XIX-XX საუკუნეებში აშენებული 18 ისტორიული სახლის, ევგენი ხარაძის სახელობის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის და 1982 წელს აშენებული საბაგირო გზის რეაბილიტაცია. ასევე, შემუშავდა დაბა აბასთუმნის გენგეგმა და დასრულდა დაბის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პირველი ეტაპისა და წყალარინების სისტემის სამშენებლო სამუშაოები.

ამასთან, გრძელდება ბაღდათი-აბასთუმნის დამაკავშირებელი 77-კილომეტრიანი გზის რეაბილიტაციის, წყალმომარაგებისთვის სისტემის მშენებლობის მეორე ეტაპის, არაზინდოს დასახლების წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის, წყალარინების გამწმენდი ნაგებობის პროექტირება-მშენებლობის სამუშაოები.

აბასთუმნის ურბანული განახლების მეორე ეტაპის სამუშაოები მოიცავს მდინარე ოცხეს კალაპოტის, ხიდების, ცენტრალური გზისა და საუბნო გზების რეაბილიტაციას. ასევე, დაგეგმილია საფეხმავლო ბილიკების, ველო-ბილიკების, რეკრეაციული და სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

2022 წლის პირველ ნახევარში დაბა აბასთუმანი სრულად განახლებული, თანამედროვე კურორტი იქნება.

აბასთუმნის ურბანული განახლების ორივე ეტაპის სამუშაოები მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ხორციელდება“, — ნათქვამია ინფორმაციაში.



იმედი სიკვდილს ამარცხებს!

Pfizer-BioNTech-ისა და Moderna-ს მიერ შექმნილი კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინები RNA ტექნოლოგიას ეფუძნება. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ იგივე ტექნოლოგიით შექმნილმა RNA ვაქცინებმა არამარტო კოვიდ-19, არამედ შესაძლოა, სხვა დაავადებებიც, მათ შორის სიმსივნე დაამარცხონ.

სხეულის მხრიდან იმუნური პასუხის მისაღებად ტრადიციული ვაქცინების შესაქმნელად იყენებენ ინფექციის გამომწვევების (პათოგენების) შტამებს — დახოცილს ან დასუსტებულს.

რაც შეეხება RNA ვაქცინებს, მათ სინთეტიკურად ამზადებენ. ეს გულისხმობს იმას, რომ ისინი ადამიანის ორგანიზმს „ასწავლიან“, როგორ შექმნან პროტეინი ან მისი მცირე ნაწილი, რომელიც ორგანიზმში იმუნურ რეაქციას გამოიწვევს. სწორედ ეს იმუნური რეაქცია წარმოქმნის ანტისხეულებს, რომლებიც დაინფიცირების შემთხვევაში ვირუსის უჯრედებს ებრძვიან, ვაქცინით შეტანილი RNA-ს მოლეკულა ინიექციიდან ერთი დღის შემდეგ უჯრედში დეგრადირდება და ნადგურდება.

აშშ-ის ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრი (CDC) აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ RNA ტიპის ვაქცინები კორონავირუსის საწინააღმდეგოდ ახალია, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი გამოკვლეული არ არის, სწორედ წლების განმავლობაში კვლევის შედეგად, მომავალში შესაძლებელი იქნება RNA ვაქცინის საშუალებით ორგანიზმში ერთდროულად წარმოიქმნას დაცვა იმ სხვადასხვა ვირუსის წინააღმდეგ, რომლებისგან პრევენციაც ვაქცინაციით შესაძლებელია.

1970-იანი წლებიდან მოყოლებული, მკვლევარები აცხადებენ, რომ RNA მეთოდის გამოყენება შესაძლებელია ყველა ტიპის დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა ისევე, როგორც სხვა სფეროში მეცნიერებაშიც, უზარმაზარი თანხები, დრო და მოთმინებაა საჭირო ყველა პრობლემის მოსაგვარებლად. 1990-იან წლებში RNA მეთოდის გამოყენების ეფექტურობაზე ბევრი კითხვის ნიშანი გაჩნდა. მთავარი დაბრკოლება იყო ის ფაქტი, რომ RNA-ს მოლეკულის შეყვანა ცხოველებში უმეტეს შემთხვევაში ანთებას იწვევდა, რომელიც ფატალური შედეგით სრულდებოდა.

RNA-ს შესწავლაში მსოფლიო მასშტაბით ყველაზე დიდი წვლილი უნგრელმა მეცნიერმა კატალინ კარიკომ შეიტანა. 2000-იან წლებში მან და მისმა კოლეგამ შეძლეს RNA-ს ერთ-ერთი კომპონენტის შეცვლით RNA-ს მოლეკულის ცხოველებში შეყვანისას ფატალური შედეგების თავიდან აცილება. იმჟამად ცდაში მონაწილე ყველა თაგვი გადარჩა.

მოგვიანებით კარიკოს მიღწევას გაეცნო სტენფორდის უნივერსიტეტის მეცნიერი დერიკ როსი, რომელმაც შემდგომში Moderna დააარსა. ამასთან, უნგრელი მეცნიერის მიღწევით დაინტერესდნენ კომპანია BioNTech-ის დამფუძნებლები, პროფესიით ონკოლოგები უგურ შაჰინი და ოზლემ ტიურეჩი. ონკოლოგმა ცოლ-ქმარმა კატალინ კარიკო თავის კომპანიაში მიიწვიეს და იგი დღემდე BioNTech-ში მოღვაწეობს. თავდაპირველად, მეცნიერები ყველაზე მეტ ყურადღებას სიმსივნისგან განკურნების საკითხს უთმობდნენ.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სიმსივნის წინააღმდეგ მკურნალობის სადღეისოდ არსებული მეთოდები შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს ძალიან პრიმიტიულად მოგვეჩვენოს. შაჰინი და ტიურეჩი მიიჩნევენ, რომ სიმსივნის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა, თითოეული ტიპის სიმსივნის გენეტიკურად უნიკალური, კონკრეტული პაციენტის იმუნური სისტემის მომზადების გზით მკურნალობა.

თუ გადავავლებთ თვალს MODERNA-სა და BIONTECH-ის საძმიანობას, მათ შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს ძუძუს, პროსტატის, კანის, პანკრეასის, თავის ტვინის, ფილტვის და სხვა ძსოვილების კიბოს სამკურნალო წამლების კვლევებს ისევე, როგორც ვაქცინების შემუშავებას გრიპის ვაქცინებიდან დაწყებული, „ზიკა“-სა და ცოფის ვაქცინებით დამთავრებული. დასკვნა ნათელია: კარგი პერსპექტივები ჩანს.

თუ ადრე RNA-ს ტექნოლოგიაში მსხვილი კაპიტალის ჩადებისგან თავს იკავებდნენ, იყო მოლოდინი რომ რეგულატორის ნებართვას წლები დასჭირდებოდა, სადღეისოდ კოვიდ-19-ის ამ პროცესს დაჩქარებს. პანდემიამ RNA ვაქცინების გრანდიოზულ დებიუტს შეუწყო ხელი. უკვე ისმის მოწოდებები, რომ კარიკო „ნობელის პრემიაზე“ წარადგინონ. ამიერიდან, RNA-ს ინვესტორების, მარეგულირებლისა და პოლიტიკოსებისგან ფულის ან სათანადო ყურადღების მოპოვებაში პრობლემები არ ექნება.

ცნობისთვის: სიმსივნით მსოფლიოში ყოველწლიურად 10 მილიონი ადამიანი იღუპება.

რაც შეეხება კოვიდ-19-ს, მსოფლიოში კოვიდინფიცირებულთა რაოდენობამ 90 მილიონს გადააჭარბა. ბოლო ოფიციალური მონაცემებით, დადასტურებულია ინფიცირების 90 086 549 შემთხვევა. გლობალური მასშტაბით კორონავირუსმა 1 934 939 ადამიანი იმსხვერპლა. 64 469 156 დაავადებული კი გამოჯანმრთელდა. სპეციალისტები მოქალაქეებს სამი ძირითადი წესის დაცვისკენ მოუწოდებენ. ესენია: პირბადის ტარება, სოციალური დისტანციის დაცვა და ხელების ხშირი დაბანა.

რაც შეეხება საქართველოს, უკანასკნელი ოფიციალური მონაცემებით, საერთო ჯამში, ქვეყანაში კოვიდ-ინფიცირების 239 229 შემთხვევაა გამოვლენილი, მათ შორის 225 335 პაციენტი გამოჯანმრთელდა, 2 773 გარდაიცვალა.

მოამზადეგულია BLOOMBERG-ს მიხედვით

PFIZER-ისა და MODERNA-ს ვაქცინა ჩვენი ქვეყნისთვის ხელსაყრელი არ არის!

ინფექციური საავადმყოფოს დირექტორი თენგიზ ცერცვაძე ამბობს, რომ Pfizer-ისა და Moderna-ს ვაქცინების მიღება საქართველოსთვის ხელსაყრელი არ არის. როგორც ის განმარტავს, აღნიშნული ვაქცინები -80 და -20 გრადუსზე უნდა იყოს შენახული, რაც ჩვენი ქვეყნისთვის მიუწვდომელია.

ცერცვაძის თქმით, საქართველოსთვის ყველაზე შესაფერისი **AstraZeneca**-ს ვაქცინაა: **„ის ორი ვაქცინა, რომელიც დღეს ყველაზე ფართოდ იხმარება ამერიკაში, გერმანიაში და ინგლისში, Pfizer-ის და Moderna-ს, ჩვენთვის არ არის მისაღები და მისი გამოყენება ხელსაყრელი. იმიტომ, რომ ის საჭიროებს ძალიან რთულ ლოჯისტიკას -80 და -20 გრადუსზე უნდა იყოს ის შენახული. ეს ჩვენნაირი ქვეყნებისთვის მიუწვდომელია, სად არის საშუალება იმისი, რომ ყველა რაიონში და ყველა პოლიკლინიკაში -80-იანი მაცივრები იყოს. ეს ამერიკასაც კი უჭირს, ინგლისს და გერმანიას, იქაც კი შეექმნათ პრობლემები.**

ყველზე შესაფერისად მიმაჩნია, ოქსფორდის უნივერსიტეტის და შვედური ფირმა AstraZeneca-ს მიერ შექმნილი ვაქცინა, რომელიც არ საჭიროებს შენახვის სპეციალურ რეჟიმს“, — ამბობს თენგიზ ცერცვაძე.

ცერცვაძე ასევე აცხადებს, რომ საქართველოში კორონავირუსის ვაქცინა დაახლოებით ერთ თვეში შემოვა, თუმცა ამ დრომდე არ არის გადაწყვეტილი, რომელ ვაქცინას შემოიტანს საქართველოს ხელისუფლება ქვეყანაში.

გეგუთის პენიტენციურ დაწესებულებაში სრული სიმშვიდეა...

№14 (გეგუთის) პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარებული PCR ტესტირების შედეგად კოვიდ-19-ის არც ერთი შემთხვევა არ გამოვლინდა, — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს სპეციალური პენიტენციური სამსახური ავრცელებს.

„სპეციალური პენიტენციური სამსახური აგრძელებს საზოგადოების ინფორმირებას პენიტენციურ დაწესებულებებში არსებულ კოვიდვითარებასთან დაკავშირებით და აცხადებს, რომ გასული წლის ბოლოს პენიტენციურ დაწესებულებებში დაწყებული ინტენსიური PCR ტესტირების ფარგლებში მიმდინარე წლის 9 იანვარს PCR ტესტირება ჩაუტარდა №14 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ 763 მსჯავრდებულს და კოვიდ-19-ის არც ერთი შემთხვევა არ გამოვლინდა. მიუხედავად ამისა, პრევენციის მიზნით, მოცემულ დაწესებულებში 14 დღის შუალედით სისტემატურად ჩატარდება მსჯავრდებულთა PCR ტესტირება, რათა სიტუაცია კონტროლს ექვემდებარებოდეს, როგორც ნებისმიერ სხვა დაწესებულებაში“.

პაპი ვაქცინის გასაკეთებლად მზადაა

რომის პაპი ფრანცისკე კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინას მომავალ კვირას გაიკეთებს. ამის შესახებ თავად პონტიფიკოსმა განაცხადა. ამავე დროს, რომის პაპმა გააკრიტიკა ის ადამიანები, რომლებიც კორონავირუსის ვაქცინის წინააღმდეგ გამოდიან.

ცნობილი გახდა, რომ კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა გაიკეთეს გაერთიანებული სამეფოს დედოფალმა ელისაბედ მეორემ და პრინცმა ფილიპმა.

94 წლის დედოფალი და 99 წლის პრინცი ფილიპი დაახლოებით 1.5 მილიონ ადამიანს შორის არიან, რომლებსაც ამ დროისთვის კოვიდის ვაქცინის მინიმუმ ერთი დოზა აქვთ მიღებული. როგორც იუწყებიან, დედოფალმა და პრინცმა Pfizer/BioNTech-ის ვაქცინა გაიკეთეს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 22 699 938, ინდოეთში — 10 451 346, ბრაზილიაში — 8 075 998, დიდ ბრიტანეთში — 3 017 409 ადამიანია დაინფიცირებული.

ეს ის ქვეყნებია, რომლებიც კორონავირუსით ინფიცირებული ადამიანების რაოდენობით ლიდერობენ. რაც შეეხება საქართველოს მეზობელ ქვეყნებს — **რუსეთში** ბოლო დღე-ღამეში ვირუსი 23 309 ადამიანს დაუდგინეს, გარდაიცვალა — 470.

აზერბაიჯანში ბოლო 24 საათში ვირუსის 633 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, 21 გარდაიცვალა.

თურქეთში კორონავირუსი ბოლო დღე-ღამეში 9 537 ადამიანს დაუდასტურდა, 181 გარდაიცვალა.

სომხეთში, კი ბოლო 24 საათში ვირუსის 379 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, 14 გარდაიცვალა.

გუდაურში საბავშვო ბაღი აშენდა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბა გუდაურში საბავშვო ბაღი აშენდა. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობა აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. სააღმზრდელო დაწესებულება ერთჯგუფიანია და გათვლილია 35 აღსაზრდელზე.



ბაღი სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. მოეწყო პანდუსი და ადაპტირებულია სველი წერტილები. გუდაურს, რომელიც მაღალმთიანი ზონის სტატუსით სარგებლობს, არასდროს ჰქონია საბავშვო ბაღი. ახალი დაწესებულების აშენებამ გუდაურში დამატებითი სამუშაო ადგილებიც შექმნა.

ეტყობა, რაღაც იმ სამეფოშიც დალპა!

შობა-ახალი წლის დღეებში, წესით, მკითხველისთვის ამაღლებული განწყობის შემქმნელი სტრიქონების „გამოცხობით“ უნდა ვიყოთ დაკავებულნი, მაგრამ კორონავირუსის პანდემიით ისედაც უსაზღვროდ დაზაფრულ მსოფლიოში ისეთი არაორდინარული მოვლენები ვითარდება, იძულებულნი ვართ, კეკლუცობა გვერდზე გადავდოთ და სათქმელი შეულამაზებლად მოგახსენოთ.

უპირველესად, რადგან ამერიკის შეერთებული შტატები თანამედროვეობის სამაგალითო დემოკრატიადაა მიჩნეული, მოდით, სწორედ ოკეანის გაღმა დაღვრილ საარჩევნო სისხლზე შევჩერდეთ.

ბევრჯერ გვსმენია — პოლიტიკა ბინძური საქმეაო, მაგრამ საწინააღმდეგო პოზიციის მომხრენიც მრავლად მოიძებნებიან, რომლებიც საფუძვლიანი არგუმენტების მოშველიებით ამტკიცებენ — პოლიტიკურ პროცესებს ბინძური პოლიტიკანები წარმართავენ და რყვნიანო.

მართლაც, თუ კაპიტოლიუმში შეჭრისა და დარბევის პერიპეტიებს გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ვაშინგტონშიც ისეთივე რიგითი მოკვდავნი უძღვებიან აღლუმს, როგორიც, მეტნაკლები მასშტაბებით, სხვა დედაქალაქებში და განსხვავება მხოლოდ ფაქტების მოწოდების ხარისხშია.

დიახ, რამდენიმე თვის წინათ არ იყო, აფროამერიკული წარმომავლობის იქაური მკვიდრის მკვლელობას არა მარტო თეთრკანიანებსა და პოლიციელებზე განხორციელებული ვენდეტა, არამედ მთელ ქვეყანაში აგორებული საპროტესტო ტალღა, მიწასთან გასწორებული მეგაპოლისების ინფრასტრუქტურა და კონსტიტუციის ჩარჩოებიდან გასული მთელი რიგი შტატები მოჰყვა? იქნებ, მაშინდელი ხახვივით შერჩენილი ველურობის გამოძახილია 6 იანვრის მსხვერპლშეწირვა, რომელმაც არა მარტო დღედღეზე მიმავალ ადმინისტრაციას, არამედ, ზოგადად, საერთოამერიკულ პოლიტელიტას დაასვა სამუდამო სამარცხვინო დაღი — ძველსაც და ახალსაც, უფრო სწორად, იმის შემდგომებსაც.

რადგან ზემოთ ხაზი პიროვნულ ფაქტორს გავუსვით, აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება მაიკ პენსისადმი დონალდ ტრამპის მიერ გამოთქმულ პრეტენზიას — ვიცე-პრეზიდენტს მოპარული არჩევნების შედეგები უნდა გაეუქმებინაო. ხომ ნაცნობი ფირფიტაა?

ანუ იკვეთება, რომ, როგორც ბევრგან, ასე ნაქებ ამერიკაშიც, ვითომ ერთი გუნდის წევრები, აუცილებელი სულაც არ არის, თანამოაზრენი იყვნენ, რაც, სხვათა შორის, თეთრი სახლის ჯერაც მოქმედი ბინადრისგან მისივე მშობლიური რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელთა საკმაოდ შთამბეჭდავი ნაწილის განდგომამაც დაადასტურა, ამან კი ჯაჭვური რეაქციასავით იმოქმედა ძალთა თანაფარდობაზე, როგორც კონგრესში, ისე სენატში.

დაბოლოს, ხომ არ მოძველდა ამერიკული საარჩევნო სისტემა ან, თუნდაც, კონსტიტუციის ცალკეული მუხლები, რომელიც ისეთ ლაბირინთებშია ჩაკარგული, მსურველებს ნაირ-ნაირი ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს. ეს, რა თქმა უნდა, ასევე ზემოთ ნახსენებ ფაქტების მოწოდების ხარისხს ანუ ინფორმაციების სანდოობასაც ეხება. აღარაფერს ვამბობთ წინა საუკუნეებსა და ათწლეულებში, მაგალითად, მარტინ ლუთერ კინგისა და ანჟელა დევისის ეპოქებში, ანაც კუ-კლუქს-კლანის ზეობისას აგიზგიზებულ რასობრივი დისკრიმინაციით გამოწვეულ ხანძრებზე, რომელიც ასევე ამერიკული დემოკრატიის განუყოფელ შემადგენლად გვევლინება.

* * *

ასეთი გლობალური ვნებათაღელვის ფონზე მკრეხელობაც კია საგაზეთო ფართობი მსხვილფეხობაზე უსაგნოდ მეოცნებე ქართულ პოლიტიკურ წვრილფეხობას დავუთმოთ, რომელიც პირველი ღამის მომლოდინე ჯერაც უბიწო პატარძალივითაა ამძუვნებული ბიძინა ივანიშვილისთვის საფრანგეთის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოს — საპატიო ლეგიონის ორდენის კავალრობის ტიტულის მინიჭებით.

რას ვიზამთ, სადაც შალიკო ნათელა(თუ ბნელიტა)შვილი, აქუს ჯანგო და გიგას ჩერგო „კომპეტენტურ ანალიტიკოსებად“ ითვლებიან (ბუნებრივია, შესაბამისი კალიბრის ტელებორდელებისგან), მათი გონებრივი ფეკალიებიც უნდა ავიტანოთ, კერძოდ, ასეთი: პედოფილი მაკრონი; აღნიშნული ჯილდო დიქტატორებსაც აქვთ მიღებული და ა.შ. მოკლედ, ენას ძვალი მართლაც რომ არა აქვს.

კი მაგრამ, თქვე ერთუჯრედიანებო, სხვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ბალზაკი იყო დიქტატორი, ლეგენდარული დიმიტრი ამილახვარი თუ დე გოლი?

* * *

გასული კვირის, ასე ვთქვათ, ადგილობრივი მნიშვნელობის პოლიტიკურ მოვლენად „პატრიოტთა ალიანსის“ წიაღიდან პარლამენტში შესული კვარტეტის — ინჯია, ენუქიძე, ზილფიმიანი, მიქაძე — მიერ პარტია „ევროპული სოციალისტების“ დაფუძნება უნდა მივიჩნიოთ. საინტერესოა, როგორი რეაქცია ექნება აღნიშნულ ფაქტზე კიევში გადახვეწილი საკუთარი ბელადივით მაწანწალათა ბრბოდ ქცეულ მთავარ ოპოზიციურ ძალას, პატეფონივით რომ აქვს ჩახვეული — ან გაყალბებულის ნაცვლად ახალი არჩევნები, ან ქუჩაო!

ისე, მეგობარი ქვეყანა კი ვახსენეთ, მაგრამ ისიც საკითხავია, როდემდე გაძლებს უკრაინაში ორივე ერის შემარცხვენელი ნაცფიურერი, რადგან გაუარესებული კორონავირუსის გამო, იქ რესტორნებისა და გასართობი ობიექტებისა თუ ღონისძიებების ნუსხა მკვეთრად შეიზღუდა.

დაბოლოს, ისე როგორ იქნებოდა, გველებივით მოსისინე ვაითეოლოგები და ფსევდოჟურნალისტები უკვე კარგად ნაცნობი გესლიანი ქვეტექსტებით კოვიდვირუსით პატრიარქის მდივან-რეფერენტის შორენა თეთრუაშვილის დასნებოვნებასაც რომ არ გამოხმაურებოდნენ. ასეთია კაცუნათა ბუნება!

გია პლატონიშვილი

◎ ლექსი მიზანში

ნუ ვიბანანებთ!

პარლამენტის შტურმს ვინც აპირებს, ყოფა ვანანოთ,
რომ საქართველოს რესპუბლიკამ არ იბანანოს!
ვაფრთხილებთ ყველა მეამბოხეს: ცირკს ნუ მართავენ,
კაპიტოლიუმს ვინც შეუტევს, ცუდად ამთავრებს.

დემოკრატია ამბოხება ვისაც ჰგონია,
მისთვის პასუხი შობისწინა ვაშინგტონია,
თორემ გვექნება სატირალი და დასანანი,
თუ საქართველოს რესპუბლიკა გახდა ბანანის...

ალექსანდრე შენგელია

კაპიტოლიუმზე თავდასხმის ბრალდებით...

კაპიტოლიუმზე განხორციელებული თავდასხმის ერთ-ერთ მონაწილეს, ჯეიკობ ენტონი ჩენსლის ბრალდება წაუყენეს. მას ხულიგნობასა და სახელმწიფო ინსტიტუტზე თავდასხმაში ადანაშაულებენ.

33 წლის ჩენსლი შეთქმულების თეორიის, ე.წ. **QAnon**-ის მიმდევარია, რომლის მიხედვითაც, დემოკრატიული პარტია ბავშვთა სექსუალურ ექსპლუატაციას ლობირებს, დონალდ ტრამპი კი დანაშაულებრივი ქსელის წინააღმდეგ იბრძვის. ის ერთ-ერთია იმაქტივისტთაგან, ვინც 6 იანვარს კაპიტოლიუმის შენობაში შეიჭრა და საკანონმდებლო ორგანოს დარბევაში მიიღო მონაწილეობა.

ტრამპმა ცუდად დაამთავრა

აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი, კონსტიტუციის 25-ე შესწორების ამოქმედებას, რაც მოქმედი პრეზიდენტის გადაყენებას შესაძლებელს გახდის, დასაშვებად მიიჩნევს.

შესწორების გამოყენების ინიციატივით დემოკრატები 6 იანვრის დრამატული მოვლენების შემდეგ გამოვიდნენ. ისინი პრეზიდენტ ტრამპს სახელმწიფო ინსტიტუტებზე თავდასხმაში სდებენ ბრალს და მის ვადაზე ადრე გადადგომას მოითხოვენ. დონალდ ტრამპმა უკვე განაცხადა, რომ 20 იანვარს ხელისუფლების მშვიდობიან გადაცემას უზრუნველყოფს, თუმცა ოპონენტები აცხადებენ, რომ გაუწონასწორებელი პრეზიდენტი ქვეყნისთვის საშიში მოვლენაა, რომელმაც უფლებამოსილების ამოწურვამდე ქვეყანას შესაძლოა კიდევ არაერთი ზიანი მიაყენოს. დემოკრატები 11 იანვარს მისი იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას გეგმავენ.



ყირგიზეთი პრეზიდენტს ირჩევს

რევოლუციიდან 3 თვის შემდეგ, ყირგიზეთში კვლავ პრეზიდენტს ირჩევენ. საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად, ქვეყანაში საყოველთაო რეფერენდუმიც ტარდება, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, დაბრუნდება თუ არა ყირგიზეთში მმართველობის საპრეზიდენტო ფორმა.

ექსპერტთა მტკიცებით, არჩევნების ბედი უკვე გადაწყვეტილია. პრეზიდენტის პოსტს, სავარაუდოდ, 52 წლის სადირ ჟაპაროვი დაიკავებს, რომელმაც პოპულარობა ოქტომბრის მოვლენების დროს მოიპოვა. მან ჯერ პრეზიდენტ ჟეენბეკოვს აიძულა გადამდგარიყო, შემდეგ კი, დროებით, მისი უფლებამოსილება გადაიბარა. გაუქმდა საპარლამენტო არჩევნების შედეგებიც.

მისივე ინიციატივით, მომზადდა საკონსტიტუციო რეფორმა, რომლის მიხედვითაც ყირგიზეთში მმართველობის საპარლამენტო ფორმა უნდა შეიცვალოს და პრეზიდენტის უფლებამოსილება გაიზარდოს.

„ჩინეთის არმია ომისთვის მუდმივად უნდა იყოს მზად“

ჩინეთის სახელმწიფო ტელევიზიამ 6 იანვარს პირდაპირ ეთერში აჩვენა ჩინეთის არმიის წვრთნები, რომლის დასრულების შემდეგ არმიას პრეზიდენტმა სი ძინპინმა მიმართა და ჯარისკაცებს უბრძანა, ომისთვის ნებისმიერ დროს იყვნენ მზად.

ძინპინის თქმით, „ჩინეთის სახალხო — განმათავისუფლებელ“ არმიას, რომელიც უდიდესია მსოფლიოში, არ უნდა ეშინოდეს სიკვდილის. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ლიდერმა აგრეთვე ხელი მოაწერა მობილიზაციის ბრძანებას. ჩინეთის ცენტრალურმა ტელევიზიამ აჩვენა საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო ძალების ერთობლივი წვრთნების ამსახველი ვიდეოკადრები. ძინპინმა მოუწოდა ჯარს მნიშვნელოვნად გაზარდონ არმიის წვრთნებში მაღალტექნოლოგიური იარაღის ჩართულობა და გააგრძელონ ჭკვიანი ტექნოლოგიური სისტემების დანერგვა. ამ შემთხვევაში იგულისხმება კომპიუტერული სიმულაციები და თანამედროვე ტექნოლოგიების როლი წვრთნებში.

◎ ელიტაში

მაღლა და მაღლა...

26 წლის ნიკა ამაშუკელის სახელი ოქროს ასოებით უკვე ჩაიწერა ქართული რაგბის მატიანეში — მას ხომ ისტორიულ „შემოდგომის ერთა თასზე“, პირველს თანამემამულეთაგან, მთავარი მსაჯის ასისტენტობის პატივი ხვდა წილად.

და აი, ახალგაზრდა რეფერის კიდევ ერთი აღიარება: 17 იანვარს იგი ევროპის უძლიერეს საკლუბო ტურნირზე, ჩემპიონთა თასზე ტოპ-14-ის ერთ-ერთი ლიდერის, გურამ გოგიჩაშვილისა და გია ხარაიშვილის „რასინგ-92“-ისა და ინგლისის პრემიერ-შიპის მოწინავეთაგანის „ჰარლიქუინზის“ პარიზულ, თავისთვის ამ დონეზე სადებიუტო შეხვედრას გაუძღვება. სხვათა შორის, ფრანგები ჩვენი არბიტრის ძველი ნაცნობები არიან: 2018 წელს თბილისის ზაფხულის თასზე იგი სწორედ აღნიშნული გუნდის ერთ-ერთ ბრძოლას მოემსახურა.

დაბოლოს: 12 თებერვალს ნიკა 20-წლამდელთა „ექვს ერზე“ უელს-შოტლანდიის ჯახს იმსაჯებს!

ბეჟან დოლიძე

◎ შანსი

კიდევ რამდენი?



ლონდონში მიმდინარე ევროპელ მოკრივეთა შარშანდელი სალიცენზიო ტურნირის მეოთხედფინალისტმა 52 კგ წონით კატეგორიაში სახილ ალახვერდოვმა საქართველოს ნაკრების წევრთაგან პირველმა მოიპოვა ტოკიოს ოლიმპიადის საგზური.

მართალია, კორონავირუსის გავრცელების გამო ინგლისის დედაქალაქში ბრძოლები 15 მარტს შეწყდა, მაგრამ სამი „ჯვაროსანი“ ასეთივე წარმატების შანსს მაინც ინარჩუნებს. ეს მას შემდეგ გაირკვა, რაც ამ დღეებში გადაწყდა, რომ ჩაშლილი სალიცენზიო ტურნირი ისევ ალბიონზე განახლდება, სადაც რინგზე ესკერხან მადიევი (69 კგ), გიორგი ხარაბაძე (75 კგ) და გიორგი ჭიღლაძე(+91 კგ) გავლენ.

მათგან მადიევსა და ხარაბაძეს თითო გამარჯვება უკვე აქვთ აქტივში და სანუკვარ მიზნამდე ერთი ნაბიჯიღა აშორებთ, ხოლო ჭიღლაძემ საბრძოლო ნათლობა ვერ მოასწრო. რაც შეეხება ალახვერდოვს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მან უკვე შეასრულა პროგრამა — მაქსიმუმი და ამჯერად მხოლოდ მედლებისთვის იჩხუბებს.

სხვათა შორის, მაისის ბოლოს პარიზში მსოფლიოს სალიცენზიო ტურნირიც დაინიშნა და უკანასკნელი საგზურების დაუფლების შესაძლებლობა ჩვენ დანარჩენ მოკრივეებსაც ექნებათ.

გუნდის თავკაც **ბეჟან ჭიჭინავას** განცხადებით, სამთავრობო რეგულაციების სრული დაცვით ბიჭები საწვრთნელ შეკრებას თბილისში 22 იანვარს დაიწყებენ, ხოლო შემდეგ, შესაბამისად, 7 და 21 თებერვალს ნაკრების 5-5 წევრი საერთაშორისო ტურნირებზე უნგრეთსა და ბულგარეთში გაემგზავრება.

ბადრი იაშვილი

◎ ტახტზე

მეფური შობა



დაგვეთანხმებით, უდიდესი დაფასებაა, მონარქიულ ესპანეთში ქართველს რომ გვირგვინით შეგამკობენ.

სწორედ ასეთი პატივი ხვდა წილად „იბეროსტარ ტენერიფეს“ 32 წლის ცენტრს გიორგი შერმადინს, რომელიც იქაური საკალათბურთო ჩემპიონატის ოფიციალური ვებ-გვერდის მიერ შარშანდელი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2020 წლის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. თანაც, გასათვალისწინებელია, რომ ლიგა ენდესა მსოფლიოში მხოლოდ ნბა-ს ჩამორჩება.

შეგახსენებთ, რომ ჩვენი თანამემამულე უკვე მეორე სეზონია კუნძულელთა გამოკვეთილი ლიდერია და მნიშვნელოვანწილად მისი დამსახურებაა, რომ პროვინციული კლუბი წარმატებით ასპარეზობს როგორც საშინაო პირველობაზე (მეორე ადგილი), ისე ჩემპიონთა ლიგაში, სადაც ჯგუფურ რაუნდში ამ დღეებში იტალიური „სასარი“ გაანადგურა — 115:85 და პირად შეხვედრებში მიღწეული უპირატესობით დაწინაურდა კიდეც.

ABC.com-ზე სათაურით: „შერმადინი — 2020 წლის მეფე“ გამოქვეყნებულ მრავლისმეტყველ სტატიაში ვკითხულობთ: **„გასული წლის საუკეთესო კალათბურთელი გიორგი შერმადინი იყო, რომელმაც ისეთ სახელოვან კონკურენტებს აჯობა, როგორებიც ვალტერ ტავარეში, მარსელინიო უერტასი და ნიკოლა მიროტიჩი არიან. იგი გამორჩეული იყო სარგებლიანობის ჯამური კოეფიციენტით, ქულებში კი მიროტიჩის მსგავსი მაჩვენებელი ჰქონდა. სწორედ აღნიშნულმა ფაქტორებმა გადაწონა ტავარეშის გარჯა, რომელიც პირველი გახლდათ მოხსენებაში, წუთებში, მოგებებსა და დაფარებებში“.**

ცნობისათვის: გიგანტი „ჯვაროსნის“ ჯამური სარგებლიანობის კოეფიციენტი 592-ს გაუტოლდა, დანარჩენთა მონაგარი კი ასეთი იყო: ტავარეში — 579, მიროტიჩი — 547, ფაკუნდო კამპაცო — 496 და ბოიან დუბლევიჩი — 433.

დავძენთ, რომ ჯამლეტ ხუხაშვილის ნაამაგარმა ვარსკვლავმა ამ კომპონენტში 710 ქულით 2017 წელსაც გაუსწრო ყველას, ხოლო 2018-ში უკვე თორნიკე შენგელია აღმოჩნდა მიუღწეველი 791 ქულით.

სხვათა შორის, ამ უკანასკნელის ცსკა-მ ამასობაში ევროლიგის 14-მატჩიანი წაუგებელი სერია ვიტორიაში „ბასკონიასთან“ ნერვების ომში შეწყვიტა — 93:95.

არმიელთა სასტარტო ხუთეულის შეუცვლელმა წევრმა ყოფილ ბასკ პარტნიორებთან შეხვედრაში თავი თითქმის ორმაგ დუბლს - 13 ქულას, 9 მოხსნასა და 6 შედეგიან გადაცემას მოუყარა.

წაგების მიუხედავად, მოსკოველები სატურნირო ცხრილის კენწეროზე რჩებიან და 13 იანვარს კაუნასის „ჟალგირისს“ უმასპინძლებენ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჰოკეის სამშობლოში

პირველი, მეხუთედ!

ტრადიციისამებრ, ახალი სპორტული სეზონის პირველი ტიტული ახალგაზრდა ჰოკეისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გათამაშდა, რომელსაც კანადამ უმასპინძლა.

სწორედ „ნეკერჩხლის ფოთლები“ მიიჩნეოდნენ ფორუმის მთავარ ფავორიტებად, მაგრამ მათ უკვე მეათედ(!) დათმეს ფინალური მატჩი, ამჯერად აწ უკვე ხუთგზის ტრიუმფატორ მეზობელ აშშ-თან — 0:2 (ტურკოტი, ზეგრასი).

ედმონტონში დასრულებული ტალანტთა დათვალიერების „ბრინჯაო“ ფინეთმა რუსეთის ძლევით მოიპოვა — 4:1. ტურნირის სიმბოლური ნაკრები: **მეკარე** — დევონ ლევი (კანადა); **მცველები** — ბოუენ ბაირამი (კანადა), ვილე ჰეინოლა (ფინეთი); **თავდამსხმელები** — დილან კოზენსი (კანადა), ტიმ შტიუცლე (გერმანია), ტრევორ ზეგრასი (აშშ).

რჩეულნი ამპლუების მიხედვით: **მეკარე** — დევონ ლევი (კანადა); **მცველი** — ტოპი ნიემელია (ფინეთი); **თავდამსხმელი** — ტიმ შტიუცლე (გერმანია).

რაც შეეხება ტურნირის საუკეთესო მოთამაშეს, ასეთად ამერიკელი **ტრევორ ზეგრასი** დასახელდა — 7 მატჩში 18 ქულა (7 გოლს პლიუს 11 შედეგიანი გადაცემა).

კობა კობახიძე

◎ ვითომ?

გემოვნებაზე არ დაობენ

სხვადასხვა ხასიათის გამოკითხვები ყოველთვის ტარდებოდა, მაგრამ კორონავირუსის პანდემიამ ისეთი უსაქმურობა გამოიწვია, რომ ლამის ყოველდღიურად ვიგებთ საკმაოდ პრეტენზიულ გადაწყვეტილებათა შესახებ.

გამონაკლისს არც ახალი წლის დღეები წარმოადგენდა, როცა პოპულარულმა იტალიურმა გამოცემა „გაძეტა დელო სპორტმა“ დროის მოკვლა ყველა დროის საუკეთესო მეკარის გამოვლენით განიზრახა და ამ მიზნით 18 ყოფილი და მოქმედი გოლკიპერისგან, მათ შორის მანუელ ნოიერისგან, პეტერ შმაიხელისა და ჟულიო სეზარისგან, კომპეტენტური ჟიურიც შეადგინა.

საბოლოოდ რჩეულთა ათეულმა ასეთი სახე მიიღო: ბუფონი (იტალია, 7 ხმა), იაშინი (საბჭოთა კავშირი, 5), ძოფი (იტალია, 2), ბენქსი (ინგლისი), კასილიასი (ესპანეთი), მაიერი (გერმანია), მაზურკევიჩი (ურუგვაი), სენი (ბრაზილია), ტაფარელი (ბრაზილია) და შმაიხელი (დანია) — ყველა თითო-თითო ხმა.

აღსანიშნავია, რომ უძლიერესის ბედი ჯიჯის სასარგებლოდ ვიაჩესლავ მალაფეევის არჩევანმა განაპირობა, რომელმაც უპირატესობა ლეგენდარული თანამემამულის ლევ იაშინის ნაცვლად სწორედ ბუფონს მიანიჭა და საკუთარ პოზიციას ასეთი ახსნა მოუძებნა: **„ჯიჯი საუკეთესოა და 42 წლის ასაკშიც თამაშობს. ის ფეხბურთის უბერებელი კერპია. ასეთებს მხოლოდ კინოსა და მუსიკაში თუ შეხვდებით“.** შეგახსენებთ, რომ ახლახან ფრანგულმა გაზეთმა „ეკიპმა“ მსოფლიოს ყველა დროის სიმბოლურ ნაკრებში მეკარედ იაშინი დააყენა.

გიორგი ზოთაძე

◎ ხუთი რგოლი

ოპტიმისტი პრეზიდენტი

როგორც მოგეხსენებათ, ტოკიოს შარშან 24 ივლისიდან 9 აგვისტომდე ოლიმპიური თამაშებისთვის უნდა ემასპინძლა, მაგრამ კორონავირუსის პანდემიის გამო იგი წლეულს 23 ივლისს დაიწყება, თანაც პირვანდელი სახელით — „ტოკიო-2020“.

შექმნილი ფორსმაჟორული ვითარების მიუხედავად, სოკ-ის თავკაცი თომას ბახი მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი და აცხადებს: **„მართალია, ინფექციაა გავრცელებული, მაგრამ იაპონიაში სპორტული ტურნირები მაინც იმართება, წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე ვაქცინის შემუშავება და ეფექტურად მუშაობს ტესტირების მეთოდები“.**

საგულისხმოდ ჟღერს აგრეთვე სოკ-ის გერმანელი პრეზიდენტის შემდეგი პოზიციაც: **„ვფიქრობ, ოლიმპიადა ამომავალი მზის ქვეყანაში მსოფლიოს იმედსა და რწმენას დაუბრუნებს. მისი ჩატარება ასევე სიამაყის საბაბი და ისტორიული მოვლენა გახდება სამურაების სამშობლოს მკვიდრთათვის“.**

აქვე ერთი საინტერესო ინფორმაციაც, რომელიც იტალიის ეოკ-ის პრეზიდენტმა **ჯოვანი მალიგომ** გააჟღერა.

როგორც ირკვევა, სოკ-ი უკმაყოფილოა იმით, რომ აპენინებზე ახალი სახელმწიფო ორგანო შეიქმნა, რომელსაც ქვეყნის ეოკ-ის საქმეებში ჩარევა შეუძლია, ეს კი, მოგეხსენებათ, აკრძალულია ოლიმპიური ქარტიით.

მაღალჩინოსნის განცხადებით, სოკ-ი საბოლოო გადაწყვეტილებას 27 იანვარს აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე მიიღებს, შესაძლო სანქციებს შორის კი ტოკიოს ოლიმპიადაზე „სკუადრა აძურას“ დელეგაციის წევრთა დროშისა და ჰიმნის გარეშე გამოსვლის ვარიანტიც განიხილება.

მანუჩარ გიორგაძე

დიდად დასანანი, გულდასაწყვეტი დანაკლისი

უახლოესი მეგობრის სიკვდილზე ძნელი გადასატანი და შესაგუებელი ცოტა რამ თუა ამ ცოდვილ ქვეყანაზე. სწორედ ასეთი თავზარდამცემი, დამთრგუნველი იყო ჩვენი ისედაც სავალალოდ დაცოტავებული სამეგობრო წრისათვის საუკეთესო ლიტერატორის, ღრმად განათლებული, უფართოესი ინტერესებისა და უაღრესად დახვეწილი გემოვნების მქონე **გიორგი (გოგი) გაჩეჩილაძის** გარდაცვალება, ვინაც მთელ პლანეტაზე რისხვად დატეხილმა, გამძვინვარებულმა პანდემიამ შეიწირა.

ვაი, რომ ვეღარასოდეს ვიხილავთ მის ალალად გაშლილ, ტანადობის შესაფერ გრძელ ხელებს, სახეზე გადაფენილ განუმეორებელ ღიმილს და გამამხნევებელ, შეხუმრებულ შეძახილს, რომლითაც შეხვედრის დროს მოგვმართავდა: „პა, როგორა ხარ, შე თათარო?!“

ჩვენი უძვირფასესი გოგი დაიბადა და აღიზარდა გამოჩენილი მწერლისა და პედაგოგის სიმონ გაჩეჩილაძის ოჯახში. ბატონმა სიმონმა, ჭეშმარიტმა ერუდიტმა შექმნა ლიტერატურის თეორიის ყველაზე კარგი სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისთვის, რომლის ახლებურად გადამუშავება და გამოცემა მისი ერთადერთი ვაჟიშვილის სანუკვარი ოცნება იყო, მაგრამ, გარემოებათა გამო, ეს საშური საქმე ვეღარ განხორციელდა. წიგნის ფანტასტიკური სიყვარული მამისგან გამოჰყვა. ხოლო უსაზღვრო სიკეთე მშობელმა დედამ, ანგელოზური სულის პატრონმა ქალბატონმა ქსენია დუმბაძემ დაანათლა. დეიდა ქსენია ყოველ ჩვენგანს შვილებად თვლიდა და მისი მზრუნველობა, გულუხვი გამასპინძლება მუდამ გვემახსოვრება.

გოგიზე ადრე იშვიათად თუ იგებდა ვინმე ახალი, უნიკალური წიგნების გამოსვლას; ერთად მივდიოდით ხოლმე ნუცუბიძის №16-ში, სადაც მეგობარ ბუკინისტს, შარშან გარდაცვლილ ბატონ გრიშას პატარა, მყუდრო მაღაზია ჰქონდა. იქ თითქმის ყველა სურვილს ვისრულებდით, სხვადასხვა ქალაქებიდან ვიწერდით ჩვენთვის საჭირო გამოცემებს, რაც საკმაოდ მოზრდილი თანხა გვიჯდებოდა.

მისი ნამოღვაწარიდან ცალკე უნდა დავასახელოთ რჩეული წერილების კრებული „სულიერი გამოცდილების სამყაროში“, სადაც ყველაზე შთამბეჭდავია მრავალმხრივ საყურადღებო ესეი ლიტერატურაში დუმილის თემაზე. გოგი ათეული წლების მანძილზე საგანგებოდ იკვლევდა ბაროკოს სტილს მწერლობაში, მხატვრობაში, არქიტექტურასა და მუსიკაში, ეძებდა ქართულ სინამდვილეში ბაროკოს ელემენტების თავისებურ გამოვლინებას. ძირისძირობამდე, გამოწვლილვით ჰქონდა შესწავლილი აღორძინების ეპოქის ორი ტიტანის — სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის შემოქმედება. სამწუხაროა, რომ ამ ანგარიშგასაწევ დაკვირვებათა გამთლიანება, მონოგრაფიად შეკვრა არ დასცალდა.

გიორგი გაჩეჩილაძის ძალზე თვალსაჩინო დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მან, სრულიად ახალგაზრდა კაცმა, მეტად ცოცხალი, ფასდაუდებელი ინტერვიუ ჩამოართვა გენიალურ ქართველ პოეტსა და მეცნიერს გიორგი ლეონიძეს. დაუშრეტელი ნიჭის შემოქმედი რუსთაველის ინსტიტუტის ყმაწვილ თანამშრომელს თავისი ბიოგრაფიის მრავალ უცნობ, ადრე გაუმხელელ ფაქტზე ესაუბრა. ჟურნალი, სადაც ეს ინტერვიუ დაიბეჭდა, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა ქცეული, დღევანდელი მკითხველისთვის აღარაა ხელმისაწვდომი და სხვა გამოქვეყნებულ წერილებთან ერთად, მალე უნდა გამოიცეს. მით უმეტეს, ახლახან, გასული წლის 23 სექტემბერს, დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა. დასანანია ისიც, რომ მას დაუმთავრებელი დარჩა დაკვირვებები რეზო ჭეიშვილის ყველასგან განსხვავებულ პროზაზე.

ჩვენი მეგობარი მჭევრმეტყველების განსაკუთრებული უნარითაც იყო დაჯილდოებული. ბევრს ახსოვს მისი ანთებული, მახვილგონივრული საჭირო გამოსვლები სხვადასხვა თავყრილობებზე, სადაც ლიტერატურის საჭირბოროტო საკითხებს არჩევდნენ. ზეპირად შეეძლო, წარმოეთქვა კაკი წერეთლის სიტყვები რუსეთის ძველ დუმაში. დიდად გაიხარა, როდესაც სტუდენტობისას ვუსახსოვრეთ ოპერის ძნელად საშოვნი წიგნი ორატორულ ხელოვნებაზე.

შემთხვევითი არ გახლდათ, რომ წლების წინ იგი მიწვეული იყო ამერიკაში (ეს მისი მეგობრის, პოლიგლოტის, პროფესორ დოდონა კიზირიას მეშვეობით მოხდა) და ინდიანას შტატის უნივერსიტეტში ლექციები წაიკითხა ქართულ კულტურაზე. ვგონებთ, ამერიკის კონგრესზეც მოუხდა გამოსვლა ცნობილ პოლიტოლოგთა წინაშე. ასევე მისი დამსახურებაა, რომ უცხოეთიდან ჩამოიტანა და გამოსცა სახელგანთქმული ქართველი ემიგრანტების, მაღალჩინოსანი სამხედრო პირების — გივი გაბლიანისა და მერაბ კვიტაშვილის ფრიად საინტერესო მემუარები.

გოგის ძალიან უყვარდა, ზაფხულობით, თავის მშობლიურ სოფელ წევაში დასვენება და ყოველთვის გვეპატიჟებოდა — ჩამოდით, ჩემებურად დაგხვდებით, თავს არ შევირცხვენო. გული გვწყდება, რომ გასულ ზაფხულს, ხიფათიანობის გამო, ეს თხოვნა ვერ შევუსრულეთ. მუდამ მონატრებულად ვიგონებთ იმ დროსაც, როცა იგი პეროვსკაიას №13-ში (ახლანდელი გიორგი ახვლედიანის ქუჩა) ცხოვრობდა. გაჩეჩილაძეების ოჯახი სივიწროვეს განიცდიდა ერთადერთ ოთახში, მაგრამ ჩვენ სხვაგვარად გვახალისებდა იქ მისვლა და მოლხენა. იმ ნეტარ წლებს ვეღარაფერი დააბრუნებს.

წარმომიდგენია, რა მტკივნეული იყო — სუნთქვადახუთულს, აპარატზე შეერთებულს, თუმცა გონებაზე მყოფს, როგორ ენატრებოდა თავისი ულამაზესი ოჯახი და, განსაკუთრებით, მოსახელე შვილიშვილი, დაუდგრომელი პატარა ბიჭო-გოგია, როგორ ეწადა უსაყვარლესი არსების, მისი შეწყვეტილი სიცოცხლის გამგრძელებლის გულში ჩაკონება. იმან ჯერ კიდევ არ იცის, რაოდენ სათაყვანებელ ბაბუას დაეხუჭა თვალები.

მეტისმეტად სამწუხაროა, რომ უკვე ზომაზე უფრო ხანდაზმულები მხოლოდ სასიამოვნო მოგონებათა ამარადღა ვართ დარჩენილები. გიორგი გაჩეჩილაძე იმათ რიცხვს მიეკუთვნება, ვინც ნათელ, მამულიშვილურ კვალს ტოვებს მარად მედინ, წარმავალ და სასტიკ წუთისოფელში.

გურამ გოგიაშვილი, ემზარ კვიტაიშვილი

9 იანვარი, 2021



მეუღლე მაია რაფავა, შვილები დუდანა, მამუკა გაჩეჩილაძეები, სიძე მიხეილ ჭოხონელიძე, რძალი სოფო პაპიძე, შვილიშვილები თამაზი, ლუკა, მარიამი, გიორგი, ოლიმპია, მძახლები ნაილი რობაქიძე, თამაზ ჭოხონელიძე, ნინო პაპიძე ნათესავებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი სიმონის ძე გაჩეჩილაძე

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ლიტერატორი და პუბლიცისტი, ფილოლოგიის დოქტორი, ჩვენი გაზეთის ერთგული მეგობარი და ავტორი, უკეთილშობილესი პიროვნება და მამულიშვილი

გიორგი გაჩეჩილაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მწერალთა ეროვნული კავშირი მწუხარებით აცნობებს საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა ჩვენი კავშირის უძველესი წევრი, თვალსაჩინო ლიტერატორი და პუბლიცისტი, გამორჩეული ლიტერატურათმცოდნე

გიორგი გაჩეჩილაძე

და უსამძიმრებს განსვენებულის დამწუხრებულ ოჯახს.

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გიორგი (გოგი) გაჩეჩილაძე

დავალებულნი ვართ შენი ყურადღებითა და სიყვარულით

გიორგი (გოგი) გაჩეჩილაძე

ძნელია, მოგონება დაწერო ისეთ ადამიანზე, რომელიც მთელი ცხოვრება გვერდით გედგა როგორც აღმზრდელი, ჭკუის დამრიგებელი, ნათესავი და უფროსი მეგობარი. ასეთად მივიჩნევდით ჩემი ოჯახის წევრები, სარჩიმელიებისა და რაფავების საგვარეულოს წარმომადგენლები ბატონ გოგის, **გიორგი სიმონის ძე გაჩეჩილაძეს**. თავზარდამცემი იყო ჩვენთვის მისი გარდაცვალება — ეს (მიუხედავად 85 წლის ასაკისა) ახალგაზრდული სულის, ენერგიის ადამიანი საშინელმა პანდემიამ შეიწირა.

ცნობილი ფილოლოგი, ლიტერატურის მკვლევარი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აშშ-ის ინდიანას შტატის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, ქართული, თამამად შეიძლება თქმა, ორატორული სკოლის წარმომადგენელი, პოლიტოლოგი, საქართველოს ორი პრეზიდენტის მრჩეველი... რა ჩამოთვლის იმ ტიტულებსა და დამსახურებებს, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე გამოარჩევდა ამ დაუღალავ ადამიანს. მიუხედავად ცხოვრების ამ დაძაბული რიტმისა, იგი ყოველთვის ნახულობდა დროს სანათესაოსა და სამეგობროში ურთიერთობისთვის. ოჯახის დიდი თავკაცი, ერთგული მეუღლე, მამა და ბაბუა გახლდათ.

ვემშვიდობებით ჩვენს უფროს მეგობარს, მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა. იგი არასოდეს დაავიწყდებათ მის უახლოეს ადამიანებს, რომლებიც ასერიგად ვართ დავალებულნი მისი ყურადღებითა და სიყვარულით.

ოტია და ლამარა სარჩიმელიები

დიდად სამწუხარო ამბავი შევიტყვე, წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი მამულიშვილი, ფართო დიაპაზონის მქონე ქართველი მეცნიერი - ფილოლოგი, პოლიტოლოგი, კულტუროლოგი... დიდებული პიროვნება

გიორგი (გოგი) გაჩეჩილაძე

ამ თავისებური ხედვისა და ანალიზის უნარის მქონე ადამიანს კიდევ დიდხანს უნდა ეკვლია ყველაფერი, რაც დაკავშირებულია ჩვენს წარსულთან, თანამედროვეობასა და მომავალთან.

სამძიმარს ვუცხადებ ოჯახს და მთელ საქართველოს.

ნომადი ბართაია

გამოჩენილი მეცნიერი, მამულიშვილი, საზოგადო მოღვაწე

აკადემიკოსი გიორგი თავაძე

ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ და ზოგადად ქვეყანამ დაკარგა ღირსეული მამულიშვილი, ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სახელმწიფო პრემიისა და გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატი, უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვერნადსკის სახელობის ოქროს მედლის კავალერი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი **გიორგი თავაძე**.

გიორგი თავაძე დაიბადა თბილისში ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის აკადემიკოს ფერდინანდ თავაძის ოჯახში, დედა — ბარბარე ქარუმიძე, 1924 წელს რეპრესირებული მეცენატის ალექსანდრე (საშა) ქარუმიძის ქალიშვილი გახლდათ.

1961 წელს გ.თავაძემ წარჩინებით დაამთავრა 23-ე საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტზე. გოგი ყმაწვილობის პერიოდშივე გაუშინაურდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტს, რომელსაც მამამისი, ლეგენდარული აკადემიკოსი ფერდინანდ თავაძე ხელმძღვანელობდა. ცნობისმოყვარეობით და ახლის ძიების სურვილით გამორჩეული ყმაწვილი ხშირად სტუმრობდა ინსტიტუტის ხმაურიან სახელოსნოებსა და ლაბორატორიებს, სადაც ფერდინანდ თავაძის მოწაფეები და მიმდევრები საქმიანობდნენ და მოუთმენლად ელოდა მათ რიგებში მოხვედრას. ეს დღეც დადგა და 1967 წელს ლაბორანტი გოგი თავაძე ინსტიტუტის ყველაზე რთულ უბანზე, სპეცლაბორატორიის სახელით ცნობილ დანაყოფში იწყებს მუშაობას. სპეცლაბორატორია მთლიანად დახურულ თემატიკაზე მუშაობდა და მკაცრად გასაიდუმლოებული იყო. ეს თემები ეხებოდა ბორის იზოტოპის ლეგირებული სპეციალური ფოლადების მიღების ტექნოლოგიას, რომელმაც ფართო გამოყენება ჰპოვა ბირთვული ენერგეტიკული რეაქტორების მშენებლობაში რეაქტორის კონსტრუქციული კვანძების დასამზადებლად.

ინსტიტუტის სპეცლაბორატორია ლენინგრადის სამხედრო-მექანიკურ ინსტიტუტთან ერთად მონაწილეობდა კოსმოსური ხომალდის „სოიუზის“ ბორტს გარეთ დამონტაჟებული სპეციალური კბილანა გადაცემის დამზადებაში. ამ სამუშაოსთან დაკავშირებით სპეცლაბორატორიის თანამშრომლები და მათ შორის ახალგაზრდა გოგი თავაძე დახურული საავტორო მოწმობის ავტორი გახდა და იმ დროისთვის საკმაოდ დიდი ფულადი პრემიაც მიიღო.

აი, ამგვარ მეცნიერულ ორომტრიალში მოხვდა სრულიად ახალგაზრდა, ენერგიით და ოპტიმიზმით აღსავსე გოგი თავაძე. აქ განვლო მან მეცნიერული კარიერის ყველა საფეხური ლაბორანტობიდან დირექტორობამდე, აქვე მიაღწია ინტელექტუალურ სრულყოფილებას, ჩამოყალიბდა როგორც ლითონებში სწრაფად მიმდინარე პროცესების მსოფლიო მნიშვნელობის მკვლევარი და საქართველოში მასალათმცოდნეობის მეცნიერული მიმართულების ერთ-ერთი თავკაცი.

1976 წელს გიორგი თავაძემ დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1995 წელს სადოქტორო დისერტაციები.

მაგრამ, მთავარი და ძირითადი ის გახლავთ, რომ ინსტიტუტის კედლებში გიორგი თავაძემ საფუძვლიანად აითვისა სტრატეგიული დანიშნულების სამეცნიერო თემატიკის ნიუანსები და მოთხოვნები, კარგად გაერკვა თავდაცვითი ღონისძიებების ორგანიზებასა და მართვაში. მის საკანდიდატო დისერტაციაში დამუშავებული იყო გამდნარი ლითონების ზემაღლი სიჩქარეებით გაციების ორიგინალური მეთოდი. შედეგად შესაძლებელი გახდა ბორის ნადნობისგან სხვადასხვა სახის ნაკეთობის, მათ შორის ცილინდრული და სფერული ფორმის კონტეინერების დამზადება. ამიტომ, შემთხვევითი არაა, რომ კიევში, მასალათმცოდნეობის პრობლემების ინსტიტუტის დახურულ საბჭოზე დისერტაციის წარდგინების შემდეგ, აღნიშნული ტექნოლოგია უმალ დაინერგა ხარკოვის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში და საფუძვლად დაედო კრიტიკული მასის შესანახად განკუთვნილი კონტეინერების დამზადებას.

ოთხმოცდაათიანი წლების ცნობილი პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების შემდეგ გიორგი თავაძემ, როგორც უკვე დიდი გამოცდილების მქონე სტრატეგიულ პრობლემათა მკვლევარ-ექსპერტმა და გულანთებულმა პატრიოტმა, მუშაობა დაიწყო საქართველოს შეიარაღებული ძალების სისტემაში. 1992-2004 წლებში მისი ინიციატივითა და პირადი მონაწილეობით საქართველოს თავდაცვის სამინისტროში შეიქმნა სამეცნიერო-ტექნიკური სამმართველო — სამსახური, რომელმაც ერთიან სისტემაში გააერთიანა თავდაცვითი დანიშნულების სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები და მრეწველობა. იგი წარმატებით უძღვებოდა და კოორდინაციას უწევდა სამხედრო დანიშნულების სამამულო ნაწარმის სერიულ წარმოებამდე მიყვანის საქმეს, რის შედეგადაც შეიარაღებაზე იქნა აყვანილი მრავალი დასახელების სამხედრო დანიშნულების ნაწარმი.

1997-2005 წლებში გიორგი თავაძე საქართველოში ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ნატოს კვლევებისა და ტექნოლოგიების ორგანიზაციის (RTO) და სახმელეთო შეიარაღების ჯგუფის (NAAG) ეროვნული კოორდინატორია. 1996 წელს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით გიორგი თავაძეს მიენიჭა პოლკოვნიკის მორიგი წოდება და დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით. გიორგი თავაძე გახლდათ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი.

გიორგი თავაძე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამსახურთან ერთად ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას. 2004 წელს გიორგი თავაძე გავიდა თადარიგში და მთლიანად მეცნიერულ საქმიანობას დაუბრუნდა მშობლიურ ინსტიტუტში, 2006 წელს იგი ინსტიტუტის დირექტორად აირჩიეს.

გიორგი თავაძე თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის (თმს) ცნობილი სპეციალისტია და საქართველოში ამ მიმართულების სამეცნიერო სკოლის ორგანიზატორი და ფუძემდებელი.

გიორგი თავაძის ხელმძღვანელობით ინსტიტუტში სინთეზირებულია სრულიად ახალი სალი შენადნობები, ლითონური და მაღალტემპერატურული კერამიკული ზეგამტარი მასალები, ბორის კარბიდი, ბორის ნიტრიდი, სილიციუმის კარბიდი და სხვა. პირველადაა მიღებული თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის ტექნოლოგიით მანგანუმის საწარმოო ნარჩენებიდან (მანგანუმის მტვერი, შლამები და სხვა) მანგანუმით გამდიდრებული ლიგატურები, რაც ზოგადად საწარმოო ნარჩენების უტილიზაციის პერსპექტიული მიმართულებაა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გიორგი თავაძის ხელმძღვანელობით სინთეზირებული ახალი თაობის საჯავშნე კომპოზიციური კერამიკული მასალა „თორი“. მასში რეალიზებულია კინეტიკური დამრტყმელის დამუხრუჭების პრინციპულად ახალი მიდგომა — ტყვიის კინეტიკური ენერგიის მაქსიმალური დისიპაცია კომპოზიციური მასალის ულტრადისპერსულ სტრუქტურაში. თავისი ბალისტიკური და წონითი მახასიათებლებით კომპოზიციური მასალა „თორი“ უტოლდება ან უკეთესია საზღვარგარეთულ ანალოგებთან შედარებით. ეს დადასტურებულია ნატურული სროლითი გამოცდებით, როგორც საქართველოში, ასევე საფრანგეთში, ისრაელსა და გერმანიაში. ამავდროულად ტექნოლოგიურობით და ეკონომიკური პარამეტრებით სინთეზირებული კერამიკული კომპოზიტი შეესაბამება ყველაზე ეკონომიურ და ფართოდ გამოყენებულ საჯავშნე კერამიკულ მასალას — კორუნდს, ხოლო ბალისტიკური მდგრადობით უტოლდება ბორის კარბიდს.

საჯავშნე კომპოზიციის სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავებისთვის 1998 წელს გიორგი თავაძეს თანაავტორებთან ერთად მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებასა და ტექნიკაში, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის სფეროში შეტანილი წვლილისთვის.

მნიშვნელოვანი შედეგებით აღინიშნა გამოკვლევები მრავალფუნქციური ლითონკერამიკული მასალების სფეროშიც. ენერგოდამზოგი და ეკოლოგიურად სუფთა თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის (თმს) ტექნოლოგიით მიღებულია უნიკალური თვისებების მქონე მასალები. ამ სფეროში შესრულებულ მეცნიერულ სამუშაოთა ციკლს 2013 წელს გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია მიენიჭა.

გიორგი თავაძე 200-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომის ავტორია, მათ შორის 2 მონოგრაფია, 42 საავტორო მოწმობა და პატენტია. შრომების უმრავლესობა გამოქვეყნებული და მოხსენებულია საზღვარგარეთ.

საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია გიორგი თავაძის მონოგრაფიამ („Получение специальных материалов методами самораспространяющегося высокотемпературного синтеза“. Тбилиси, Издательство Меридиани, 2011), რომლის გადამუშავებული ინგლისურენოვანი ვარიანტი 2013 წელს დასტამბა ცნობილმა გამომცემლობამ „შპრინგერ“-მა, ხოლო 2016 წელს ჩინურ ენაზე გამოიცა ჩინეთში.

2017 წელს უკრაინის მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ მასალათმცოდნეობის სფეროში შესრულებული პიონერული სამუშაოებისთვის გიორგი თავაძე დაჯილდოვა აკადემიის უმაღლესი ჯილდოთი — აკადემიკოს ვერნადსკის სახელობის ოქროს მედლით.

გამორჩეული იყო გიორგი თავაძის ორგანიზაციული საქმიანობა ინსტიტუტის დირექტორის პოსტზე. მან გამოიყვანა ინსტიტუტი სრული კოლაფსის მდგომარეობიდან, მოიყვანა დღემდე და ყველა დაარწმუნა მის მიერ ჩატარებული რეფორმების სიკეთეში, რომლის ნათელი გამოვლინებაა ინსტიტუტისთვის აშენებული ახალი კომპლექსი, რომელიც 2018 წელს შევიდა ექსპლუატაციაში. ეს კომპლექსი მოიცავს ოთხსართულიან ლაბორატორიულ კორპუსს, ორმალიან საამქროს საგლინავი დანადგარებითა და ღუმელებით და შენობას სპეციალური ბოქსებით ახალი მასალების სინთეზისთვის. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა აშენდა ძლიერი მეცნიერული კერა.

ბატონი გიორგის კოლეგები, მეგობრები, მოწაფეები და მიმდევრები ასეთივე წარმატებას მოველოდით მისგან მომავალშიც — უამრავი სიახლე გვქონდა ჩაფიქრებული და დაგეგმილი, მაგრამ ბატონმა გოგიმ ამჯერად „გვიმტყუნა“ და ეჭვქვეშ დააყენა მის გარეშე ჩვენი წარმატებული განვითარება.

ღირსეული მამულიშვილის — გოგი თავაძის სახით ჩვენმა საზოგადოებამ დაკარგა გამოჩენილი მეცნიერი, შესანიშნავი მოქალაქე და ღვაწლმოსილი საზოგადო მოღვაწე, მისმა ოჯახმა — მოსიყვარულე მამა და ბაბუა, ხოლო ინსტიტუტის თანამშრომლებმა — ბრძენი წინამძღოლი, ერთგული მეგობარი, კოლეგა და გულშემატკივარი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

გოგი თავაძის გამოსათხოვარი

სსიპ ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 76 წლის ასაკში გარდაიცვალა ინსტიტუტის დირექტორი, ცნობილი მეცნიერი და ღვაწლმოსილი მოქალაქე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სახელმწიფო და გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემიების ლაურეატი, უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვერნადსკის სახელობის ოქროს მედლის კავალერი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გიორგი თავაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი და უკეთილშობილესი ადამიანი, აკადემიკოსი

გიორგი თავაძე

და გულწრფელად თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრი“ იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიკოსი

გიორგი თავაძე

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

ბატონი გიორგი თავაძე იყო ცენტრის დამფუძნებელი წევრი, აქტიური თანამდგომი და კომპეტენტური საქმიანობის და წინადადებების ხელშემწყობი.

იგი იყო ჩვენი მეგობარი სტუდენტობის წლებიდან, გამოირჩეოდა დიდი პასუხისმგებლობით. აქტიური სამეცნიერო-ტექნოლოგიური და საწარმოო სფეროს დიდი პატრიოტი, მრავალი მიღწევის ავტორი გახლდათ.

მისი გარდაცვალება ჭეშმარიტად დიდი დანაკლისია ქართული სამეცნიერო კვლევითი სფეროს წინაშე.

ცენტრის სახელით:

გიორგი კვესიტაძე, რამაზ ხუროძე,
გივი აბდუშელიშვილი, ნოდარ მითაგვარია,
ალექსანდრე დიდებულიძე.

სანთელი

ტიტე ლეფსაიას არდავიწყება

40 დღე გავიდა, რაც აღარ გვყავს ჩვენი ოჯახის ბურჯი, იმედი და ძალა...

რომ არა კოვიდ-19, რა მოერეოდა ამ ენერგიით და ხალისით სავსე ადამიანს. მზრუნველი და თბილი მეუღლე, მამა და ბაბუა არა მარტო ოჯახის იმედი იყო, არამედ აქტიურად გახლდათ ჩართული არაერთ საზოგადოებრივ საქმიანობაში. ვიხსენებთ მის სუფთა და სპეტაკ მოღვაწეობას სამართალდამცავ სისტემაში, ის თავდაუზოგავად ემსახურებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, ქვეყანაში მართლწესრიგისა და კანონიერების დამკვიდრებას. ამასთანავე, ის იყო იურიდიულ მეცნიერებათა ასოცირებული პროფესორი და მრავალი თაობის აღმზრდელი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებული ძმათამკვლელი ომის მონაწილე, საქართველოს ბიზნეს მეცნიერებათა აკადემიის წევრი, აკადემიკოსი.

ბოლო წლებში იყო საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელი და იცავდა მათ უფლებებს. მისი ამაგდარი მოღვაწეობა ემსახურებოდა ვეტერანთა პრობლემების მოგვარებას.

დღემდე გვიკავშირდებიან ვეტერანები და გულწრფელ მწუხარებას გვიზიარებენ. მისი ნათელი კვალი დიდხანს გაგვყვება ცხოვრების გზაზე შვილებს და შვილიშვილებს. უფალმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი მის უმწიკვლო სულს.

მონატრებით
ოჯახი

სანთელი

ჯუმბერ ლომიძე

77 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მერქნიან მცენარეთა კოლექციების განყოფილების მკვლევარი, მთავარი დენდროლოგი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი **ჯუმბერ ლომიძე**.

თბილისის ბოტანიკურ ბაღში მუშაობა მან 2006 წლიდან დაიწყო. 2010 წლიდან ჯუმბერ ლომიძე გახლდათ ბოტანიკური ბაღის ეკოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მოგვიანებით კი მერქნიან მცენარეთა ინტროდუქციის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი. 2016 წლიდან ბატონი ჯუმბერი მერქნიან მცენარეთა კოლექციების განყოფილების მკვლევარი და საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მთავარი დენდროლოგია.

ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში მეცნიერის მოღვაწეობას წინ უძღოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვასილ გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტში ასპირანტურისა და ნაყოფიერი სამეცნიერო საქმიანობის პერიოდი. 1999 წელს მას მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 2003 წელს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხები. ჯუმბერ ლომიძეს გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, მიღებული აქვს მონაწილეობა დენდროლოგიის, მეტყევეობისა და მცენარეული მრავალფეროვნების საკითხებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციებსა და შეხვედრებში. ბატონი ჯუმბერი გახლდათ არაერთი ახალგაზრდა მკვლევარი-დოქტორანტისა თუ მაგისტრის სამეცნიერო ხელმძღვანელი. წლების განმავლობაში სამეცნიერო კვლევის პარალელურად ბატონი ჯუმბერი ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს აგრარულ და ტექნიკურ უნივერსიტეტებში.

როგორც ექსპერტი-დენდროლოგი ბატონი ჯუმბერი აქტიურად მონაწილეობდა მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო ჯგუფის საქმიანობაში, რომელიც ქალაქ თბილისის მერიის ეკოლოგიის სამსახურს კონსულტაციებს უწევდა ბოლო წლებში ურბანული გამწვანების მიმართულებით განხორციელებულ მნიშვნელოვან პროექტებში. მისი მონაწილეობით განხორციელდა მთაწმინდის ნახანძრალი ფერდობის აღდგენის უნიკალური საპილოტე პროექტი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მერქნიან მცენარეთა კოლექციების განყოფილებაში მიმდინარე მრავალწლიანი სამეცნიერო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს თბილისსა და მის შემოგარენში ბუნებრივად გავრცელებულ მერქნიან მცენარეთა მრავალფეროვნების შესწავლას, თბილისის შემოგარენში სხვადასხვა დროს გაშენებული ტყის კულტურების ხმობის მიზეზების დადგენას, გატყევებისათვის მდგრადი მერქნიანი სახეობების შერჩევას და გაშენების აგროწესების დამუშავებას. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში 2019 წლის შემოდგომაზე ბატონი ჯუმბერის ხელმძღვანელობით ბოტანიკური ბაღის მკვლევართა ჯგუფმა ყოფილი თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე აღმოაჩინა და აღწერა საქართველოს წითელი ნუსხის მცენარის — რცხილაფოთოლა ძელქვის მანამდე უცნობი საკმაოდ დიდი კორომი, რომლის შესახებ ლიტერატურაში ცნობები არ მოიპოვებოდა. მკვლევარისა და მისი ჯგუფის წევრების მიერ ამ საკითხზე ბატონი ჯუმბერის ავადმყოფობამდე მომზადდა პუბლიკაცია, რომელიც მალე დაიბეჭდება ჟურნალში Annals of Agrarian Science. გულდასაწყვეტია, რომ ავადმყოფობის გამო მან ვერ შეძლო ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელება.

ბატონი ჯუმბერის გარდაცვალება დიდი დანაკლისია საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღისათვის და ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოებისათვის.

მადლობა, ბატონო ჯუმბერ, თქვენი წვლილისთვის და ერთგულებისთვის!
მისი ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება კოლეგებისა და მეგობრების გულებში.

შპს „ლილო-მოლი“ ბრძანება

№336
30. 12. 2020

ახალი ტიპის კორონავირუსის COVID-19 მსოფლიო მასშტაბით გავრცელებასთან და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ პანდემიის გამოცხადებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის 26.11.2020 წლის №699 დადგენილებით დაწესებული შეზღუდვების და გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, სავაჭრო ცენტრის პარალიზების თავიდან ასაცილებლად და სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად, შექმნილი ობიექტური გარემოებების შესაბამისი ადეკვატური ზომისა და დროებითი ღონისძიების სახით (კონსერვაციის პერიოდი) 2021 წლის იანვრის თვეში დაკორექტირდეს საცალო-საბითუმო რიგებში არსებული მოვაჭრეების ყოველთვიური საიჯარო ქირის გადასახადი და განისაზღვროს 2020 წლის 26 ნოემბერს არსებული ნიშნულის **(ამ ბრძანების მიზნებისთვის შემდგომში სტანდარტული ქირა)** სტანდარტული საიჯარო ქირის გადასახადის 30%-ის ოდენობით.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ Z რიგებში არსებული მოვაჭრეები იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე საიჯარო ქირას იხდიან განსხვავებული სეზონურობის პრინციპით, კერძოდ წლიური ჯამური საიჯარო ქირა მათ გადანაწილებული აქვთ 9 თვეზე, ხოლო მაისის, ივნისის და ივლისის თვეების საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება ნულოვანი განაკვეთით, შესაბამისად სამართლიანობის და თანასწორობის პრინციპების გათვალისწინებით, 2021 წლის იანვრის თვეში დაკორექტირდეს ამ კატეგორიის მოვაჭრეების მიერ გადასახდელი საიჯარო ქირა, კერძოდ თითოეული კონკრეტული მოვაჭრის მიერ გადასახდელი საიჯარო ქირა განისაზღვროს მის მიერ გადასახდელი სტადარტული ქირის 47,5%-ის ოდენობით.

დაკორექტირებული ყოველთვიური საიჯარო ქირა მოვაჭრის მიერ გადახდილ იქნას იჯარის ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში.

წინამდებარე ბრძანება საცალო-საბითუმო რიგებში არსებული ყველა მოვაჭრის ინფორმირების მიზნით გამოქვეყნდეს საჯარო წესით (გამოიკრას სერვის ცენტრის და რიგებში თვალსაჩინო ადგილას, აიტვირთოს კომპანიის ვებ-გვერდზე). საზოგადოების მოვაჭრეებთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს მოვაჭრეებისათვის წინამდებარე ბრძანების შინაარსის გაცნობა და შესაბამისი ახსნა-განმარტების მიცემა. მოვაჭრის მხრიდან შენიშვნების არსებობის შემთხვევაში, მას ეძლევა წინადადება წერილობით მომართოს კომპანიის დირექციას, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ მოვაჭრე ეთანხმება წინამდებარე ბრძანებით შეთავაზებულ საგანგებო ვითარებაში დადგენილ კორექტირებულ ტარიფს.

კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურს და სერვის ცენტრს, დაევალოს საიჯარო ქირის გადასახდების გადახდის ერთიან კომპიუტერულ ბაზაში შესაბამისი კორექტივების შეტანა და სახელშეკრულებო ურთიერთობებში მყოფ ს.ს. “ვითიბი ბანკთან“ ერთად საიჯარო თანხების მიღება კორექტირებული ოდენობით.

საცალო-საბითუმო რიგებში არსებულ ყველა მოვაჭრეს და ს.ს “ვითიბი ბანკს“ ეთხოვოს გაგებით მოეკიდონ პანდემიის გამო შექმნილ რთულ მდგომარეობას და დაიცვან წინამდებარე ბრძანებით დადგენილი საიჯარო ქირის გადასახადების გადახდა/მიღების რეჟიმი.

ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საზოგადოების კომერციულ დირექტორს თ. გამყრელიძეს.

გენერალური დირექტორი **/გ. კვარაცხელია/**

სანთელი

ირაკლი ნოდარიშვილი



მთელი რაჭა შენატროდა ონის რაიონულ გაზეთ „განთიადის“ რედაქტორ ზაურ გამყრელიძისა და სკოლა-ლიცეუმის დირექტორ მაყვალა ჯაფარიძის ინტელიგენტთა ოჯახს.

სამოქალაქო ომის, უშუქობისა და დამანგრეველი მიწისძვრის პერიოდი გაგვილამაზა მათმა დამოყვრებამ ნოდარიშვილების ასევე გამორჩეულ სახლეულთან. სწორედ მაშინ მოევლინა სამშობლოს დათოსა და შორენას სიყვარულის ნაყოფი — **ირაკლი ნოდარიშვილი**.

ფრიად სამწუხაროა, რომ ამიერიდან ამ ახალგაზრდა ვაჟკაცის წარსულში მოხსენიება მოგვიწევს.

დიახ, მეხის გავარდნას ჰგავდა კორონავირუსის პანდემიით დამძიმებულ დღეებში გავრცელებული ინფორმაცია — ჯანსაღი სულით გაფერადებულ ჯანსაღ სხეულს არანაკლებ ვერაგმა ანევრიზმამ სძლიაო.

რას ვიზამთ — უფალიც განსაკუთრებულ მამულიშვილებს იხუტებს გულში.

ნათელი და სანთელი, ირაკლი!

ლელა, შოთა რეხვიაშვილები,
გია პლატონიშვილი.

შალვა მგალობლიშვილი, ზამირ მაჩიტიძე, გიორგი (ჟორა) საღარაძე ოჯახებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის

დაზი შეროზიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ტყისა და მინდვრის 2 ხანძარი ჩააქრეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური განაგრძობს ბუნებაში გაჩენილი ხანძრების ჩასაქრობად უწყვეტ რეჟიმში მუშაობას. ღამის განმავლობაში გაჩნდა 2 ახალი კერა - გურიაში, მამათში და სამცხე-ჯავახეთში, ასპინძაში. გურიასა და ასპინძაში ხანძრები ლიკვიდირებულია.

ერთი კერაა დარჩენილი სამეგრელოში - დობერაზენში ხანძარი ლოკალიზებულია და მიმდინარეობს სალიკვიდაციო სამუშაოები. შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მოსახლეობას მოუწოდებს — თავი შეიკავონ მინდვრებში და სახნავ მიწებზე ბალახის დაწვისგან. დასავლეთ საქართველოში ძლიერი ქარია და მშრალი ამინდი, რაც ხელს უშლის მეხანძრე-მაშველებს ხანძრების სალიკვიდაციო სამუშაოებში. მინდორში და სახნავ მიწებზე ბალახის დაწვამ შეიძლება გამოიწვიოს ხანძრის გავრცელება როგორც საცხოვრებელ სახლებზე, ასევე ტყის მასივებზე.

ოკუპირებულ გაგრაში ხანძრის კერების ნაწილი მთლიანად ლიკვიდირებულია...

ოკუპირებული აფხაზეთის გაგრის რაიონში ხანძრის კერების ნაწილი მთლიანად ლიკვიდირებულია, რთულად მისადგომ ადგილებში კი ხანძარი ლოკალიზებულია, — შესაბამის ინფორმაციას აფხაზური მედია ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლებაზე დაყრდნობით ავრცელებს.

ადგილობრივი მედიის ცნობით, მიმდინარეობს ვითარების 24-საათანი მონიტორინგი. გაგრაში სტიქიას უკვე რამდენიმე დღეა, ებრძვიან. ვრცელდებოდა ცნობები, რომ ტყის ხანძარი საცხოვრებელ სახლებს მიუახლოვდა.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

რეზო გაბრიაძის „ჰარი-ჰარალე, დედაო!“

ქართველი სცენარისტის, რეჟისორის, დრამატურგისა და მხატვრის, **რეზო გაბრიაძის ფილმი „ჰარი-ჰარალე, დედაო!“, რომლის ტელეპრემიერა ქართულ ენაზე ექსკლუზიურად საქართველოს პირველ არხზე გაიმართა, „ნეტფლიქსზე“ დაიდო.**

ფილმი „ჰარი-ჰარალე, დედაო!“ („დედა, იცი, სად ვიყავი?“) ამერიკის კინოგაქირავებაში სახელით — Rezo ჩაეშვა.

ანიმაციური ფილმი რეზო გაბრიაძის ბავშვობის მოგონებების მიხედვით შეიქმნა. მთხრობელი და ილუსტრაციის მხატვარი თავად რეზო გაბრიაძეა, რეჟისორი კი, მისი შვილი ლევან გაბრიაძე. ანიმაციურ ნამუშევარში ავტორის 500-მდე ნახატი გამოიყენეს. ფილმს ორი წლის განმავლობაში კინოსტუდია „ბაზილევსში“ იღებდნენ.

აღსანიშნავია, რომ ფილმის საავტორო თარგმანი, რომლის ტელეპრემიერაც მაყურებელს საქართველოს პირველმა არხმა 2020 წლის 12 თებერვალს შესთავაზა, თავად რეზო გაბრიაძეს ეკუთვნის.

ფილმმა, რომლის პირველი ჩვენებაც სიმბოლურად ქუთაისში, თეთრ ხიდზე შედგა, არაერთი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ნამუშევარი წარდგენილი იყო „ოსკარზე“ და საუკეთესო სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმების „შორთ ლისთში“ მოხვდა.

ნოვოსიბირსკის თეატრი ნინო ანანიაშვილთან კონტრაქტს აჩერებს!!!

ნოვოსიბირსკის ოპერისა და ბალეტის თეატრი იუწყება, რომ აჩერებს კონტრაქტს ქართველ პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილთან.

„მთელ რიგ მედიასაშუალებებში გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნინო ანანიაშვილი მიწვეულია საბალეტო დასის ხელმძღვანელად ნოვოსიბირსკის ოპერისა და ბალეტის თეატრში (НОВАТ).

თეატრის ხელმძღვანელობა თვლის, რომ ხელმძღვანელის ვინაობის გასაჯაროება კოლექტივისთვის მის ოფიციალურ წარდგენამდე დასის უპატივცემულობის უკიდურესი გამოვლინებაა.

ამიტომ ჩვენ იძულებულნი ვართ, შევაჩეროთ მასთან გაფორმებული კონტრაქტის მოქმედება, ხსენებული ინფორმაციის საჯარო სივრცეში გავრცელებასთან დაკავშირებული ყველა გარემოების გარკვევამდე

საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნება იანვრის შუა რიცხვებში, იმ შეხვედრის შედეგების მიხედვით, რომელიც შედგება НОВАТ-ის სამხატვრო ხელმძღვანელს, ვლადიმირ კეხმანსა და ნინო ანანიაშვილს შორის“, — წერია ნოვოსიბირსკის ოპერისა და ბალეტის თეატრის ოფიციალურ ვებ-საიტზე.

ნინო ანანიაშვილმა ნოვოსიბირსკის ოპერისა და ბალეტის თეატრთან თანამშრომლობის შესახებ ინფორმაცია რადიო „თავისუფლებას“ ექსკლუზიურ ინტერვიუში მიაწოდა. ის აცხადებდა, რომ ნოვოსიბირსკის თეატრის საბალეტო დასს იანვრის ბოლოს უნდა შეხვედროდა. ნოვოსიბირსკის ოპერისა და ბალეტის თეატრის გადაწყვეტილებაზე წერენ რუსეთის მედიასაშუალებები. მანამდე, მათი ყურადღება მიიპყრო საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის კრიტიკულმა განცხადებამ იმის შესახებ, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის პირობებში, ანანიაშვილის გადაწყვეტილებას „გამართლება არა აქვს“.

თავად ნინო ანანიაშვილი ამ ფაქტზე კომენტარს არ აკეთებს!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 13 იანვარს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.3035; ევრო - 4.0428;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.4885;
100 რუბლი - 4.4384; თურქული ლირა - 0.4482;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9446;
1000 სომხური დრამი - 6.3111.

ამინდი 11 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1,	დღე	+12
მთიანი რაიონები -	ღამე	-3,	დღე	+10
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+6,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	+1,	დღე	+9
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge